# კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქრევკომის ორგანო

29 იანვარი კვირა

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4 რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14-76 მდივნის № 19 საერთო №

21 კვირა, 29 იანვარი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 29 იანვარი 1922 წ. № 21


## საბჭოთა არჩევნები

საქართველოს სოფლები დღეს საბჭოთა არჩევნებშია ჩართული. ზოგ მაზრაში ეს არჩევნები დასრულდა კიდეაც და დანიშნულია სამაზრო ყრილობები. თუ მუშაობა იმავე ტემპით გაგრძელდა ყველგან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დღემდე, ცხადია რომ დანიშნულ დროს ჩვენი ქვეყნის დიდ ქალაქი მიიღებს არაჩვეულებრივ სტუმრებს, ჩამოსულებს საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელთა და მეზღვაურთა პირველ ყრილობაზე და ეს ისტორიული დღე იქნება იმავე დროს საქართველოს აღნიშვნა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების ერთი წლის თავის.

ერთი დამახასიათებელი მოვლენათაგანი, რომელიც თან ახლავს საბჭოთა არჩევნებს ჩვენ სოფლებში, რამდენადაც ამის დასკვნის ნებას იძლევა დღემდე მიღებული ცნობები, არის ის საერთო ინტერესი, რომელსაც იჩენს სოფლელების ფართო მასები ამ არჩევნებისადმი, სიცივე აბსენტეიზმი და აქტიური ჩარევა საარჩევნო კამპანიაში გარდა ამისა, სოფლის მცხოვრებლებზე ჩვენ შეგვიძლია დავრწმუნდეთ, როგორც ეს მოხდა უმთავრეს ქალაქების არჩევნების დროსაც, რომ პროვინციის მასებიც გულწრფელ ხედავენ მენშევიკურ პარტიას და განთავისუფლდნენ მისი პოლიტიკური გავლენისაგან. თუ უკანასკნელი თავშესაფარი კუნძული მან ჰპოვა ერთ დროს ჩვენ პროვინციაში და იქ გამაგრდა თითქოს თავი, იქ ქსოვდა ბოიკოტირებული ხელით პოლიტიკურ ქსელს—ეს უნდა ითქვას ზედმეტათ არა უშედეგოთ—დღეს რამოდენიმე თვის ახალი ხელისუფლების და პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შემდეგ, მენშევიკური მტრები იქიდანაც გამოიდევნა იმდენათ, რომ ის ველარ ახდენს ძველ მშვიდობიან გავლენას არჩევნების მსვლელობაზე, რომლის ნიშნებიც ჩვენ შევამჩნიეთ. ამნაირათ ვთქვათ, რომ „გასაბჭოება" ჩვენი სოფლის დღეს უკვე მიდის ჩქარის ნაბიჯით და მენშევიკური ველარ შეაჩერებს, სანამ ის არ გაივლის ბოლომდე თავის გზას, არ ჩადგება გარკვეულ კალაპოტში.

მეორე დამახასიათებელი მოვლენა, ყოველ შემთხვევაში იმ მაზრებისთვის, სადაც უკვე მოხდა არჩევნები და რომლის შესახებ ჩვენ ცნობები მოგვეპოვება, არის უპარტიო დეპუტატების სიმრავლე პარტიულ დეპუტატებთან შედარებით. ის გარემოება არის —ჩვენი გლეხობის დიფერენციაცია და იქ ჩვენი პარტიული მუშაობის პირობებში. უმთავრესათ ამ ფაქტში, რომელიც ჯერ კიდევ არ შეიცვლება მთელი ხაზით მთელ პროვინციაში, არის ის, რომ ის უპარტიობა არ წაიყვანა იმათ, რომ ლიბაისათვის „უპარტიობა" მხოლოდ სამოსელია, რომლის შიგნით იმალება ნაცნობი სახე საბჭოთა რეჟიმის მტრის. ბევრ ოლქში მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ჩარჩენილი უპარტიოები, საპასუხისმგებლო პოსტებზე ამორჩეული იქნენ მაინც კომუნისტები. ცხადია, რომ ამ უპარტიოებში ჩვენ საქმე გვაქვს უპარტიო გლეხებთან, რომლებთაც დახმარება ჩვენ მომავალ სამეურნეო მუშაობაში უზრუნველყოფილი უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც პარტია სწორათ აღიქვამს სოფლის მდგომარეობას და სოფლელ მასებს, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით დაუმტკიცებს, რომ ერთად ერთი წყობილება, რომელიც შესძლებს მისი სასიცოცხლო ინტერესების დაცვას არის მხოლოდ მშრომელთა რეჟიმი, საბჭოთა სისტემა, რომ ერთად ერთი ჭეშმარიტი მატარებელი ამ ინტერესების, მშრომელთა ერთად ერთი ჭეშმარიტი მეგზური და ხელმძღვანელი არის მხოლოდ ჩვენი კომუნისტური პარტია. ცხადია და ბუნებრივიც, რომ სოფლის საბჭოები არ იქნებიან გამოხატულება დიდი ქალაქების, თბილისის და ბათუმის საბჭოების, რომ დამოკიდებულება მათ შემადგენლობაში პარტიულ ელემენტთა მხრივ იქნება სხვანაირი, ვიდრე ამ ქალაქებში, მაგრამ რამდენადაც, ვთქვათ, თბილისის მაზრის მაგალითი და მთის შეგვიძლია მივიღოთ პროვინციის დასკვნად ერთ სურათად, ხელმძღვანელობა უპარტიოთა უმრავლესობით შემდგარ საბჭოებს აქ ხელთ ექნება მათ კომუნისტურ ნაწილს, ყველაზე უფრო მომზადებულ, გამოცდილ და მაღალ ინტერესების შეგნებულ მებრძოლს, მათ მოამაგეს.

ჩვენი დამოკიდებულება პატიოსან უპარტიო მშრომელთა მიმართ გარკვეულია. ჩვენ უნდა ჩავაბათ ისინი მშრომელთა ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების, მათი საკუთარი წესწყობილების, აღმშენებლობის ფერხულში. პოლიტიკურად შეგნებული ფართო მასებს უნდა შეაგნებინოთ ჩვენ—და ამ მიზნით უნდა მივცეთ მათ ის ვუქვათ საგნური დახმარება, მათთან უფრო და უფრო ნათელი,—რომ კიდევა მათი საკუთარი საქმე, ებრძვის მათი საკუთარი ცხოვრება, იქვება მომავალი მათი და რომ ყოველივე ეს უნდა ვაკეთოთ, მოიწყოს და გაძლიერდეს თვით მათივე საკუთარი მარჯვენით, ძალით და ღონით. ამისთვის პარტიას, მის ადგილობრივ ორგანოებს, მართებს მეტი და მეტი ტაქტი სიფრთხილე, მეტი დაახლოება მათ ყოველ დღიურ ცხოვრებასთან, შეგნება ყოველი მათი საჭიროების, დროზე გამოძებნა ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებისა. მშრომელი, გლეხი თავისთავად ჩამოერთი და კონკრეტული აზროვნების, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მას ათასჯერ უფრო ურჩევნია ბაზრის კაჭა ჩიტი ხელში, ვინემ შეპირებული წერო ცაში. მისცემ რამეს—ის დაინახავს, ვერასფერს მიაღებინებ—ამისაც დაინახავს, ხშირათ უფრო ნათლად და გარკვევით. ორივე შემთხვევაში მას საკმაოდ დასკვნა გამოჰყავს. ჩვენი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული მუშაობის მიზანი ეს „დასკვნა" უნდა არა სასიამოვნო გამოდიოდეს ჩვენთვის, არამედ სასარგებლო.

მაგრამ უპარტიოთა არჩევა სხვა მხრივაც უმეტესა უპარტიოთ, ამ შემთხვევაში წინდა პარტიულ, ის მოითხოვს ჩვენგან ჩვენი პარტიული მუშაობის გათვალისწინებას. რასაკვირველია, ჩვენი ჩამორჩენილი სოფლის, მისი ნაკლებათ სოციალური დიფერენციაციის პირობებში, ჩანასახები წინ ზრდასთან ჩვენ ვერ გადავხტებით. ამ ურთიერთობის წინ წაწევა დროის, „ისტორიული მუშაობის" საქმეა. მაგრამ, რამდენადაც ამისთვის ჯერ არის სადმე ხელსაყრელი პირობები, ამ პირობების თანდათანი მომწიფება დამოკიდებულია ჩვენ პარტიულ პოლიტიკურ მუშაობაზე, უნდა სთქვას თავისი სიტყვა და, კიდევ უფრო მეტათ, გააკეთოს თავისი საქმე, ამით გაამარჯვებს ჩვენ და მიიწევს წინ მშრომელთა მიზანი.

## საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა

### ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საქართველოში

**ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენება**

**ამხ. ტოროშელიძე.** ამხანაგებო, ჩვენ წინაშე მდგარ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხს, საქართველოში მის გატარების პირობებში, ჩვენი აზრით აქვს ის მნიშვნელობა, რომ ჩვენ, პირველად შევიკრიბეთ რა ამ ყრილობაზე, უნდა განვიხილოთ ეს მეტად ოფიციალური საკითხი ეს ეკონომიური პოლიტიკის, რომელიც უკვე გამოვიდა თეორიულ სჯა-ბაასის სფეროდან.

შე ძლება მე აქ მომიხდეს თეზისების და დებულებების წამოყენება, რომლებიც თქვენ იცით და კარგახანია რაც ცხოვრებაში ტარდებიან, მაგრამ ჩვენ, როგორც პარტიამ, რომელიც შეკრიბა აქ, უნდა კიდევ გადავუდოთ ამ საკითხს, რომელიც პირველმნიშვნელობისაა და ჩვენ გვაიძულებს მთელი ენერგია შევწიროთ მას,—რათა შევძლოთ უფრო შეგნებულად შეუდგეთ ჩვენს აღმშენებლობითი მუშაობას საერთოდ.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ, ჩვენ გამოვდივართ იმ ფაქტიდან, რომ პროლეტარიატმა გამარჯვება მოიპოვა თავის კლასობრივ მტრებზე სამხედრო ფრონტზე. ახლა მიმდინარე მომენტის ამოცანაა—მოვიპოვოთ ასეთივე გამარჯვება სამეურნეო ფრონტზე კაპიტალისტურ და წვრილ-ბურჟუაზიულ გარემოცვის პირობებში ეს ამოცანა ამ პირობებში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ეკონომიურ ხასიათის ღონისძიებებით, და აი ასეთი ზომების დასხვა და გეგმა შეწონილი გატარება შეადგენს ახალი ეკონომიური პოლიტიკის შინაარსს, რომლის მთავარი აზრი ორი ძირითადი ელემენტებში გამოიხატება: მუშათა კლასის ხელისუფლების გამაგრება ეკონომიური საძირკვლით და გლეხების ჩაბმა სოციალისტური აღმშენებლობის სფეროში. უნდა ითქვას რომ ეკონომიურ სფეროში პროლეტარიატი ხელმძღვანელობდა ერთი ძირითადი პრინციპით ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებით. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე აფასებდა იგი ამა თუ იმ მოვლენას და მის მიხედვით, ხელს უწყობდა თუ აფერხებდა ეს მოვლენა წარმოებითი ძალების განვითარებას, პროლეტარიატი მხარს უჭერდა ან უარყოფდა ამ მოვლენას. ასეთი იყო მისი ტაქტიკა მოუვლწროების მთელი დროის განმავლობაში. ამ მომენტიდან, როცა პროლეტარიატი გახდა ქვეყნის ბატონ-პატრონი, როცა სამეურნეო ობიექტიდან იგი იქცა სამეურნეო სუბიექტად, მან სულ სხვა ნაირად იწყო ამ პრინციპის წარმოებით ძალების განვითარების—შეფასება. იგი ამდიდრებს მას და უყურებს, როგორც ქვეყნის სიმდიდრის გამრავლებას და კაპიტალისტურ და ყველა ძველ სამეურნეო ურთიერთობათა მოსპობას. მაშასადამე, მას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცია საწარმოო ძალების განვითარებისათვის იმ მომენტიდან, როცა თვით გახდა მდგომარეობის ბატონ პატრონი. მაგრამ კონკრეტული ისტორიული გარემო ისეთი იყო, რომ სახალხო მეურნეობის, საწარმოო ძალების განვითარების ინტერესები უკანა რიგში მოექცენ. პროლეტარიატის სამ წელიწადზე მეტმა გმირულმა ბრძოლამ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ბრძოლის ხანამ თვით პროლეტარიატის არსებობის უფლებისათვის ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა. პროლეტარიატმა არა ერთბაშად მიაღწია თავის არსებობის უფლებას დედამიწის ზურგზე. საჭირო შეიქნა უდიდესი ბრძოლის 3 წელზე მეტი დრო იმისათვის, რათა განემტკიცებინა ეს უფლება. მაგრამ ბრძოლის ეს ხანა სამეურნეო მხრივ ხასიათდება როგორც სამხედრო კომუნიზმი, რომელმაც მოითხოვა რესურსების უშველებელი რაოდენობა ქვეყნის დასაცავად, მშრომელთა მონაპოვარის ყველაზე უფრო ხელფასის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ოდესმე ისტორიაში, მუშების და გლეხების ხელისუფლების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად. სახალხო მეურნეობას უნდა მოეკრიბა მთელი ძალღონე, უნდა მიეცა საჭირო ღირებულებანი მაშინ, როცა თვითონ ვერ ღებულობდა დანახარჯის სანაცვლოთ ახალ რესურსებს, ახალ საშუალებებს თავის ისევ ასაღორძინებლად. ხოლო სახალხო მეურნეობის ცხოველმყოფელობისათვის საჭიროა, როგორც აუცილებელი პირობა, მისი საშუალებათა განახლება, აღდგენა. ეს ძირითადი წესი დავიწყებული ან, უფრო სწორად რომ ითქვას, უარყოფილ იქნა ძალაუნებურად, სამხედრო კომუნიზმის ხანაში, ამის შედეგი კი ის იყო, რომ ჩაკვდა არა მარტო ქალაქის მრეწველობა, არამედ წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობაც, ვინაიდან გლეხებმა, სასურსათო გაწერის პოლიტიკის პირობებში, დაკარგეს ინტერესი შეექმნათ საცხოვრებელ მინიმუმზე ზედმეტი, რადგან სამხედრო კომუნიზმი ართმევდა მთელ ზედმეტ ნაშთს. ხან კი თვით აუცილებელსაც გლეხმა, რომელიც თავის წარმოების პირობების წყალობით საკუთარი კუნძულის იქეთ ვერ იხედებოდა, თავი გაანება წარმოებას. მას არ ესმოდა მთელი ის უდიდესი აღმშენებლობა, რომელიც წარმოებდა მის ირგვლივ და სწორედ მისი ინტერესებისათვის. სამხედრო ფრონტზე გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება პირდაპირ მიუდგა ამ ძირითადი ამოცანის გადაჭრას და მის წინაშე გადაიშალა მთელი სახალხო მეურნეობის სრული დაშლის და განადგურების სურათი. იმის მსგავსად, როგორც სამხედრო ფრონტზე გვ ხდებოდა სოციალისტური სამშობლოს ყოველ ნაჭრის დაპყრობა ნაბიჯი ნაბიჯზე, სწორედ ასევე ძალღონის უკიდურესი მოკრებით გვიხდება პოზიციის პოზიციაზე დაპყრობა ამ უშველებელ სამეურნეო ფრონტზე.

ამ ფრონტის პირველი პოზიცია მსხვილი მრეწველობაა და სწორედ ის შეადგენს მთელი ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის ძირითად მიზანს. საჭიროა მრეწველობის მთლიანად საკუთარ ხელში აღება და ამ ამოცანას უნდა დავუქვემდებაროთ ყველა ზომები სამეურნეო აღმშენებლობის დარგში. როგორ უნდა განვახორციელოთ ეს? თავის თავად საბჭოთა რესპუბლიკებს არ შეუძლიათ დასძლიონ თანამედროვე ეკონომიური კრიზისი, საჭირო ხდება ეკონომიური ბრძოლის წარმოება კაპიტალისტურ ქვეყნებთან რომლებიც, როგორც ეს ჩვეულებრივ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, ცდილობენ გამოიტანონ აქედან მთელი ნედლი მასალა და სამაგიეროთ არ მოგვცენ არავითარი წარმოების იარაღები. ასეთი იარაღები კი აქ საჭიროა იმისთვის, რომ ჩვენ შეძლება გვექნეს საკუთარი ძალებით დავამუშავოთ ადგილობრივი მნიშვნელოვანი სიმდიდრეები. კაპიტალისტების პოლიტიკის საწინააღმდეგო პოლიტიკას აწარმოებს მუშათა კლასი, რომელიც ცდილობს შეიძინოს საწარმოვო იარაღები და ამ გზით დაამუშაოს აქ არსებული ბუნებრივი სიმდიდრეები. ამ ნაირად ჩვენ შევძლებთ მსხვილი მეურნეობის აღდგენას კაპიტალისტების საშუალებით იქ, სადაც ამისათვის იქნება ხელსაყრელი პირობები.

ამ მეურნეობის აღდგენამდე საჭიროა დიდი მატერიალური რესურსები და ყველაზე ადრე სასურსათო ფონდი. სოფლისა და ქალაქის წარმოებებს შორის უნდა დავამყაროთ ისეთი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს საქონლის მაზნ შეწონილ ტრიალს მათ შორის. შესაძლებელია ეს? შესაძლებელია, იმიტომ რომ ქალაქის მუშა დაინტერესებულია სასოფლო სამეურნეო წარმოებით, რომელიც უზრუნველყოფს მას პურით, ისე როგორც სოფლის მუშა დაინტერესებულია ქალაქის მრეწველობით, რომელმაც უნდა მისცეს სოფელს საჭირო მასალები და იარაღები. მაგრამ სოფლის მეურნეობის წარმოება დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად თავისუფლად შეუძლია გლეხს მოიხმაროს თავის დამუშავებული პროდუქტები. აქედან გამომდინარეობს თავისუფალი ბაზრის შემოღების საკითხი. გლეხს უნდა ექნეს შესაძლებლობა, მისცემს რა სახელმწიფოს თავის მოსავლის ნაწილს სასურსათო გადასახადის სახით, თავისუფლად გამოვიდეს ბაზარზე ზედმეტი პროდუქტებით. ამიტომ, გამოვდივართ რა ეკონომიური პოლიტიკიდან, ჩვენ წინ დგება თავისუფალი ბაზრის მოწესრიგების საკითხი. ამით უზრუნველი ხდება. სასოფლო მეურნეობის განვითარება, რადგანაც გლეხის დაინტერესება აღწევს მიზანს და ამით შესაძლებელი ხდება სახელმწიფოს პროდუქტების მიწოდება მსხვილი მრეწველობის გასავითარებლად, რომ სასოფლო მეურნეობას არ ჰქონდეს ასეთი მნიშვნელობა მსხვილი მრეწველობისათვის, ის არ იქნებოდა საყურადღებო სახელმწიფოებრივი საკითხი. გლეხურ ქვეყანაში, სადაც მცხოვრებლების უდიდესი ნაწილი მისდევს სასოფლო მეურნეობას, სასოფლო მეურნეობის საწარმოვო იარაღების დამზადებას უპირველესი მნიშვნელობა ეძლევა; მართლაც. საერთოდ სამეურნეო გეგმაში, რომელიც გამომუშავებული აქვს საბჭოთა სახელმწიფოებს და რომლითაც ისინი განსხვავდებიან ყველა სხვა სახელმწიფოებისაგან, შედის არა თუ მრეწველობა, არამედ სასოფლო მეურნეობაც. კონკრეტულად ესენია: მელიორაცია, მიწის ფონდი და სხვ. ყველაფერი ეს დამყარებულია მიწის ნაციონალიზაციის საფუძვლებზე. მაგრამ არა თუ სასოფლო მეურნეობას, არამედ მთელ წვრილ მრეწველობას, არსებულ სა

## გაზაფხულის თესვის კამპანია

გაზაფხულის თესვის დრო გვიახლოვდება და ბუნებრივია, ის იზიდავს თავისკენ მთელ ჩვენ ყურადღებას. არც ერთი სფერო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის პირობებში არ არის ისე მნიშვნელოვანი, როგორც სასოფლო მეურნეობა. არც ერთი არ წარმოადგენს ისეთ სიძნელეს, როგორსაც ის. წარსული წლის სამეურნეო ბალანსი ჩვენი სოფლის დაისკვნა დიდი დეფიციტით უმეტესად აუმოსავლელი პირობების გამო, რამაც შექმნა დიდი სიცარიელე სასურსათო ბიუჯეტში. ჩვენიდ მოუწყობლობისა და უსახსრობის გამო ვერც ხერხდა თესვის კამპანია განვითარდა საჭირო მასშტაბით ცხადია ისეთ პირობებში რა მნიშვნელობის იძენს მომავალი გაზაფხულის მუშაობა ამ მხრივ და როგორი ენერგიული მობილიზაციის გვჭირდება მთელ ჩვენ შეძლებლობათა, რომ მთელ სიმართის რამდენიმე მეთ მაინც გამოსწორებული იქნეს.

ამ მიმართულებით სახმადისი უკვე სწარმოებს. მიწათმოქმედების კომისარიატმა, რომლის სპეციალურ საქმეს ეს შეადგენს, უკვე შეიმუშავა სათანადო გეგმა მომავალი კამპანიის და წარუდგინა ის საქართველოს რევკომს. ამ გეგმით საჭირო კრედიტების მისაღებად უმთავრესათ არის, როგორც წარსულშიაც, სათესლე მასალის შოვნა, რომელიც უდრის 305 ათას ფუთს, მათში 300 ათასი გლეხების საჭიროებისთვის და ხუთი ათასი სახელმწიფო კომისარიატის საბჭოთა სოფლო მეურნეობის განსაკუთრებული მეურნეობათა და საცდელ სამეურნეო დაწესებულებათათვის. ამ საქმისათვის გამოთხოვილია მთავრობისაგან 67 ნ.ხ. მილიარდი მანეთი.

თავის თავათ იგულისხმება, რომ სახელმწიფო, უაღრესათ დაინტერესებული ამ საქმის წარმატებით დაბოლოებაში, მინდობილი მხოლოდ თავის საკუთარ რესურსებზე, ვერ დააკმაყოფილებს თანადროულათ ამხელა მოთხოვნილებას. და ეს გასაგებია მით უმეტეს, რომ ამ გრანდიოზულ საქმესთან პარალელურათ მას უხდება შესაძლებლობის ფარგლებში ებრძოლოს მოუსავლიანი სამეურნეო წლით შექმნილ დეფიციტის მძიმე შედეგებს და ცხადია, რომ ეს გარემოება ერთ დიდ სიმძიმეთ აწევს თესვის კამპანიისათვის მისი სამხადისის ენერგიას, ასუსტებს ამ ფრონტზე მისი შეტევითი უნარს. მით უფრო განუზომელ მნიშვნელობას იძენს ადგილების ინიციატივა ამ სფეროში, ინიციატივა სხვადასხვა ადგილობრივი ეკონომიური და სხვ. ორგანიზაციების, რომლებიც განზე გამდგარი მაყურებლების როლში ყოველ შემთხვევაში ვერ დარჩებიან და, პირიქით, მთელი თავისი შესაძლებლობით უნდა შეუდგნენ დღევანდელი მომენტის ამ უმნიშვნელოვანეს, დაკვრითი საქმის მოგვარებას.

ამ ორგანიზაციებს ზურგი უნდა გაუმაგრონ და ძლიერი დახმარება აღმოუჩინონ თავის მასიური ამოძრავებით ჩვენმა სოფლელებმა. პირველ ყოვლისა მათ, ე. ი. ვისაც თესლის სახით აქვს აღებული წარსული წლის გაზაფხულზე, უნდა დააბრუნონ ასეთი თავის დროზე. ამასთან ისინი გამ ჭვალულნი უნდა იქნენ იმ აზრით, რომ სესხის სახით წაღებული თესლი, დაბრუნების შემდეგ, უაქმოთ კი არ რჩება ხაროებში და ან არ ხდება ბაზარზე გამოსატან სპეკულიაციის საგნათ, არამედ ბოლოს და ბოლოს უბრუნდება თუ დღესვე არა იმავე გადამხდელს, ყოველ შემთხვევაში მასსავე მსგავსს, რომელსაც ეს თესლი სჭირდება, შეიძლება მისსავე მეზობელს, რომლისაგან ასეთივე წესის დაბრუნების შემდეგ, შეიძლება ისევ მოხმარდეს საჭიროების დროს მის დღევანდელ გადამხდელს. აბრუნებს რა მიღებულ სესხს თავის დროზე, სოფლის გაჭირვებული მეურნე ფაქტიურათ ეხმარება ისევ თავის თავს, რადგან ამით საგრძნობლათ უადვილებს სახელმწიფოს, შეუფერხებელ ტრიალში იქონიოს ეს საჭირო მასალა.

გარდა ამისა ადგილობრივი მასიური ამოძრავებას ამ საქმისათვის დიდი ინიციატივას შეუძლია „ზევიდან" დაუცდელათ თვითონაც მოახერხოს სადაც ეს შესაძლებელია, როგორც იტყვიან „ხელის მონაცვლება" ე. ი. ცოტათ თუ ბევრით უზრუნველყოფილი მეურნისაგან კერძო სესხის აღებით კითხვის გადაჭრა. ეს შეიძლება მოხდეს, ეს მოსახერხებელია ბევრგან და ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ თითო ასეთ კერძო შემთხვევაში, სოფლის მუშა აკეთებს არა მარტო თავის საკუთარ საქმეს, არამედ ის რამოდენიმეთ ასუბუქებს ამით სახელმწიფოს მიერ საზიდავ მძიმე ტვირთსაც და ბოლოს და ბოლოს შველის მთელი სასოფლო მეურნეობის საქმეს, აადვილებს მომავალ თესვის კამპანიას;

აი მხოლოთ ასეთი თანამშრომლობის გზით: ადგილების ცენტრთან, მშრომელთა მასების სახელმწიფოსთან, ასეთი მასიური ინიციატივის გამოჩენით და ცალ-ცალკე ყველას ვალდებულების შესრულებით ურთიერთის მიმართ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, საგრძნობლათ შევამსუბუქებთ მომავალი გაზაფხულის თესვის კამპანიის სიძნელეთ და გამარჯვებული გამოვალთ ამ დიდ საქმეში.

## წითელი პრესა

### რადეკი და „ფორვერტსი"

საკითხი მუშათა ერთიანი ფრონტის შესახებ, რომლის ლოზუნგი მისცა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა თავის ნაციონალურ სექციებს გასატარებლათ, იწვევს გაცხოველებულ აზრთა გაცვლა-გამოცვლას ევროპის „სოციალისტურ" პარტიებში, ერთი მხრით და კამათს ამ უკანასკნელების და კომუნისტურ პარტიებს შორის, მეორე მხრით.

კერძოთ გერმანიის შინაურ ურთიერთობათა მიხედვით, როგორც მკითხველებს ახსოვს, ამხ. რადეკმა გამოსთქვა ის აზრი, თანახმათ კომინტერნის ამ ლოზუნგისა, რომ გერმანიის კომუნისტური პარტია მიიღებდა მონაწილეობას ისეთ „მუშათა მთავრობაში", რომელიც მხად იქნებოდა ეწარმოებია ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. შეიდემანელთა ცენტრალურმა ორგანომ, „ფორვერტსმა" რადეკის ასეთ აზრში დაინახა „გამართლება კოალიციონური პოლიტიკის", რომელსაც აწარმოებს გერმანიის სოციალ დემოკრატია და გამოაცხადა, რომ ამით რადეკმა „გამანადგურებელი მსჯავრი" (Vernichtungsurteil) დასდო „კომუნისტების მიერ აქნამდი წარმოებულ „პუტჩის" (მასიურ გავლენას მოკლებულ პატარა ჯგუფის შეიარაღებული გამოსვლის. მეპ. ი.) ტაქტიკას". გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო, „წითელი დროშა" რომლის ნომრებში ყოველ დღე მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს შეიდემანელების წინააღმდეგ მიმართულ წერილებს, ეხება (№ 551) სხვათა შორის „ფორვერტსის" აზრს. ის სწერს:

„თუ „ფორვერტსი" უკვე მიესალმა ლენინს, მის მიერ რუსეთის ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაბუთების გამო, თავის თავათ ცხადია, რომ ეს სამწუხარო ხვედრი არც რადეკს ასცილდებოდა"... რა სთქვა რადეკმა?

„მხოლოთ ის—ამბობს „წითელი დროშა",—რომ კომუნისტები მიიღებენ მონაწილეობას ისეთ მთავრობაში, რომელიც იბრძოლებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ. აქედან ბურჟუაზიულ პარტიებთან კოალიციის ან და კიდევ დიდი კოალიციის გამართლების გამოყვანა შეუძლია „მეტის მეტად განათლებულ თავს." ან და გაბედავს „ფორვერტსი" სთქვას, რომ დიდი ან პატარა კოალიცია იბრძოლებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ?

ამის გარდა: კომუნისტური პარტიის დღევანდელი პოლიტიკა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება აქნამდი წარმოებულს. პირიქით ის მომდინარეობს მისგან და ავსებს მას. თუ წინეთ რევოლიუციონური ავანგარდი თავდაცვითი ბრძოლას აწარმოებდა (ლაპარაკია მარტის გამოსვლებზე გერმანიაში. მეპრ.) დღეს მსხვილი კაპიტალი შეტევაზე გადმოდის მთელი მუშათა კლასის წინააღმდეგ, წინანდელ ბრძოლებს რომ შედეგათ მოჰყოლოდა—რევოლიუციონური ავანგარდიდან ძლიერი კომუნისტური პარტია გამოსულიყო, მაშინ შემდეგი ბრძოლები ჩაითრევდა მუშათა კლასის ფართო მასებს. ამ ფართო მასების შემოკრება რევოლიუციონური ავანგარდის ირგვლივ მათი დაკავშირება მასთან—ასეთი აზრი აქვს კომუნისტების დღევანდელ ტაქტიკას".

მეურნეო კრიზისის გამო, იძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ნორმალურ პირობებში, როდესაც ვითარდება მსხვილი მრეწველობა, შეიძლება უფრო გულგრილათ მოვეპყრათ წვრილ მრეწველობის განვითარებას და მივატოვოთ ის ბედის ანაბარათ. მაგრამ, როდესაც მსხვილი მეურნეობის აღდგენა ჯერჯერობით შეფერხებულია, წვრილ მეურნეობასაც შეუძლია მოუტანოს სახელმწიფოს თვალსაჩინო სარგებლობა; ამიტომ საჭიროა წვრილი მრეწველობის წაქეზება, ზოგიერთ შემთხვევაში ნედლი მასალის მიწოდება განსაზღვრულ პირობებით და ამგვარი ხელის შეწყობით წვრილი მრეწველობის მოქმედების გარკვეულ კალაპოტში ჩაყენება იმავე მსხვილი მრეწველობის ინტერესებისათვის. ჩვენ ვეხმარებით მას რკინის გზით, სათბობი და ნედლი მასალით. ეს გარემოება ჩვენ შეძლებას გვაძლევს ჩვენთან დამოკიდებულებაში ვიყოლიოთ წვრილი მრეწველობა და ამ ნაირად ვაიძულოთ ის ხელი შეუწყოს მსხვილი მრეწველობის განვითარებას. მაგრამ რადგანაც საერთოდ ყველა ამ წვრილი სასოფლო და საქალაქო მეურნეობის აღრიცხვა ძნელია, ჩვენ უპირატესობა უნდა მივცეთ მეურნეობის განსაზღვრულ ფორმებს როგორიც არიან—შრომის არტელები, კოოპერაცია და სხვ.

(დასასრული იქნება).

# მოძრაობა ინდოეთში

ცოტაოდენი დაგვიანებით ინგლისის გაზეთები აღწერავენ მღელვარებას ინდოეთში უელსის პრინცის ჩასვლის გამო. „ტაიმსი“ (13 დეკემბერი) დაწვრილებით აღწერს პროტესტის სურათს კალკუტაში, ე. წ. ჰორტალისას, ე. ი. საყოველთაო გაფიცვისას, რომელიც ჩატარებულ იქნა გაერთიანებული ძალებით ჰინდსა და გაერთიანებულ მუსულმანურ ქაიფატის მომხრეთა აგიტაციის შემწეობით. ჰორტალი აგებულია პასიურ წინააღმდეგობაზე და ყველაფერ ევროპიულის ბოიკოტზე. 17 ნოემბერს, ბომბეიაში უელსის პრინცის ჩასვლის დღეს, მთელი ცხოვრება კალკუტაში ჩაკვდა. დილით ადრიან ძალა-უფლება გადავიდა მოხალისეების ხელში, რომლებიც ატარებდნენ საყოველთაო გაფიცვას. ბაზრები დაცარიელებული იყო, დუქნები—დაკეტილი. ტრამვაის მოძრაობა გაჩერებულ იქნა, შეწყვეტილ იქნა ეტლების მოძრაობაც ყველაზე მეტი ხ დებოდა ავტომობილებს, მაგრამ ურემებიდანაც უნდა გადმოსულიყვნენ ტრაურის ნიშნათ ამ დღეს. ოჩნიეუსებს ქვებს ესროდნენ. ასე რომ ფაქტიურათ მთელი ქალაქი გაფიცვის ალში იყო გახვეული. პოლიცია, სწერს „ტაიმსი“, არაფერს არ აკეთებდა, და ყველაფერი ინდოეთის „მოხალისეთა“ განკარგულებაში იმყოფებოდა, ესენი კი, „ტაიმსის“ სიტყვით, შედგებიან „ხულიგანებისა და ქალაქის ყველაზე ცუდი ელემენტებისაგან“. (ასე უწოდებენ ბურჟუაზიული გაზეთები რევოლუციონურ ელემენტს). კალკუტაში ჩამოსვლისას პრინცს უზადებდენ რევოლუციონერები კიდევ უფრო საზეიმო შეხვედრას, მაგრამ ბურჟუაზიამ და ადმინისტრაციამ იჩქარეს შეკავშირებულიყვნენ და მიეღოთ გადამჭრელი ზომები. ადმინისტრაციამ გადასწყვიტა ბოლო მოეღო ჰანდის „უზრო“ ოცნებებისათვის. მაგრამ ბურჟუაზიამ ინდო პოლიციას და მოაწყო თავისი „სამოქალაქო“ გვარდია, რომელშიაც შევიდენ კალკუტის მრეწველობის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები. და, როგორც „ნიუზნი“ იუწყება, რეპრესიების წყალობით მოახერხეს უზრუნველეყოთ პრინცის გარეგნულათ მაინც მშვიდობიანი შეხვედრა კალკუტაში და სხვა ქალაქებში. ადმინისტრაცია ცდილობს ჩააქროს ბოიკოტის მოძრაობა და ლიკვიდაცია უყოს „მოხალისეთა“ რიგებს. ტელეგრაფი ყოველდღე გვამცნობს სისხლის მღვრელი შეტაკებების შესახებ ბრიტანიის პოლიციასა და რევოლუციონერებს შორის. ინდოეთის მართველი, ლორდ რედინგი, რეპრესიების ფართო პროგრამას ანხორციელებს. დატუსაღებულ პოლიტიკურ მოღვაწეთა რიცხვი ათასზე ნაკლები არაა.

გაზეთების ყველაზე უფრო გამოჩენილი რედაქტორები და ჟურნალისტები სხედან ციხეებში და უცდიან გასამართლებას. აგიტაცია ჰორტალისათვის სულ უფრო და უფრო იზრდება. ალაგაბადში პრინცის ჩასვლისას ქუჩები სრულებით დაცალიერებული აღმოჩნდა. ასევე იყო ბენარესში. პოლიტიკური აზრით ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ადგილები გამოერკვიენ მდგომარეობაში და მონაწილეობას იღებენ რევოლუციონურ მოძრაობაში. ადმინისტრაცია ცდილობდა რა აღმოეფხვრა „კრამოლა“, დაუწყო დევნა ინდოეთის ეროვნული მოძრაობის ყველაზე უფრო გამოჩენილ ბელადებს. დატუსაღებულია ნაციონალური კონგრესის თავმჯდომარე დეისი, რომელიც უკვე 15 წელიწადია აქტიურათ მუშაობს „სფარადიკას“ (ინდოეთის ჰომრული) სასარგებლოთ. 6 თვის ციხე აქვს მისჯილი გამოჩენილ ლიბერალ კონსტიტუციონალისტს ნისრის და სხვ. მთავრობა დიდათ უწყობს ხელს რევოლუციონურ მოძრაობის განვითარებას.

„მანჩესტერ გარდიანი“ აფასებს რა ინდოეთის ამბებს, სწერს: „ინდოეთის მთავრობა უსათუოთ შეცდა ანგარიშში. პრინცის ჩასვლამ, რაც მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო მცხოვრებთა ლოიალობისა, ფაქტიურათ გამოიწვია ჰინდის მოძრაობის ძალთა დემონსტრაცია“. რევოლუციონური მოძრაობის იდეები ვრცელდება და ნაყოფს იძლევა მთელ მხარეში პრინცის მოგზაურობასთან ერთად ინდოეთში.

# ბრძოლა სიმშილთან

**რუმინიის „დახმარება“.**

**მოსკოვი.** 20 იანვ. რადიო. ფრიტიოფ ნანსენმა მიმართა წინადადებით რუმინიის მინისტრთა საბჭოს, ვოლგის მხარის მოსახლეობის საერთაშორისო დახმარებასთან შეერთების შესახებ. ამის გამო ბუქარესტის გაზეთებში დაიბეჭდა შემდეგი პასუხი, რომელიც რუმინიის მინისტრ პრეზიდენტმა იონესკუმ გაუგზავნა ნანსენს: „მათმა უდიდებულესობამ, დედოფალმა გადმომცა მე თქვენგან 9 იანვარს გამოგზავნილი დეპეშა. მათი უდიდებულესობა დიდათ აფასებს თქვენს კეთილშობილურ განზრახვებს დატანჯულ კაცობრიობის დახმარების შესახებ და დამავალა მე გადმოგცეთ, რომ რუმინიამაც მიიღო მონაწილეობა თავის ძეხობელთა დახმარებაში. 100,000 მდე უბედურმა ნახეს თავშესაფარი რუმინიაში, სადაც მათ ინახავენ ჩვენი მოქალაქენი. ვრანგელის ლაშქრიდან რამდენიმე ათასი კაცი დღესაც იმყოფება რუმინიის მთავრობის ხარჯზე.

„იზვესტია“ ამის შესახებ სწერს:

„აქ ყველაფერი საუცხოვოდაა: აღარ იცი, რა უფრო საკვირველია: ის პირმოთნეობა, რომლითაც ტაკე იონესკუ ლაპარაკობს დატანჯულ კაცობრიობის დახმარების შესახებ, თუ ის იშვიათი თავხედობა რომლითაც რუმინიის მთავრობა ცხადად აღიარებს, რომ იგი ინახავს რუსეთიდან განდევნილ ყაჩაღთა ბრბოებს და ამას სთვლის რუსეთის დამშეულ ხალხის დახმარებად.

**გასკელის შეხვედრა.**

**მოსკოვი,** 20 იანვარი. რადიო. ახალ ხელშეკრულების გამო, რომელიც დასდო რ. ს. ფ. ს. რ. ამერიკის დამხმარე ადმინისტრაციასთან, 14 იანვარს მოხდა მეგობრული თათბირი რ. ს. ფ. ს. რ. ამერიკა-რუსეთის ადმინისტრაციასთან მყოფ წარმომადგენელსა ამერიკა-რუსეთის ადმინისტრაციის დირექტორის პოლკოვნიკ გასკელის და მის თანამშრომელთა პატივსაცემლად. ამ თათბირს არ ქონია ოფიციალური ხასიათი. ეს იყო ამერიკის და რუსეთის შიმშილთან ბრძოლის სფეროში მომუშავეთა მეგობრული შეხვედრა. ამ საუბრის დროს აღნიშნეს, რომ იქ, სადაც საკითხი სდგას მილიონ ბავშვთა გადარჩენის შესახებ, რომლებსაც მოელით შიმშილისაგან სიკვდილი, პოლიტიკას ადგილი არ აქვს. რუსეთის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რუსეთის მშრომელი ხალხი შესძლებს დააფასოს ამერიკელ მეგობართა გულწრფელი ძმური დახმარება.

**ახალი ხაფრთხე,**

**მოსკოვი.** 6 იან. გაზეთი „გუდოკი“ იტყობინება: ჯანმრთელობის კომისრის ამხ. სემაშკოს ცნობით შემზარავ სურათს წარმოადგენს ეპიდემიის გავრცელება არამც თუ მარტო დამშეულ გუბერნიებში, არამედ მთელ საბჭოთა რესპუბლიკაში. უწესრიგო გადასახლება და გაქცევა დამშეულ გუბერნიებიდან გრძელდება. ლტოლვილთა ტალღები მიემართება საბჭოთა რესპუბლიკის ყოველ კუთხისაკენ და თან მიაქვს მრისხანე ეპიდემია მატარებლები სავსეა დამშეულ გუბერნიებიდან წამოსულ გამოქცეულებით და მათთან ერთად ეპიდემია ვრცელდება მთელ ჩვენ რკინის გზის არტერიებზე. ბევრი დიდი რკინის გზის სადგური გადაიქცა ლაზარეთებად. ყოველ მატარებლიდან გვიხდება ჩამოვიყვანოთ 2—3 ათეული პარტახტიან ან მუცლის სახადით ავადმყოფი. მეორდება 1919—1920 წ. ზამთრის ისტორია. საკმარისია მოვიგონოთ იმ დროის საშინელება, ათასი შემთხვევები პარტახტიან სახადით სიკვდილისა, რომ გავიგოთ სრულიად, თუ როგორი საშინელი საშიშროება მოგველის.

ამხ. სემაშკომ მოჰყავს … დახასიათა შემდეგ სიტყვები … კვდილი შიმშილისაგან“ … თან ბრძოლა, რომელსაც … დება მთელ ქვეყანაზე, როდე… ყვება რკინის გზებს, და … ახლო მდებარე მოსახლეობა … სიძნელეს წარმოადგენს. ამის… ნამ ჯერ კიდევ გვიან არაა, … მიღებულ იქმნას ყოველივე … ეპიდემიის საწინააღმდეგოთ … ლველად, ყველაზე ადრე … ვოლგის მხარის გაჯანსაღე… ამისათვის მხოლოდ ერთი გზა… ცეთ პური ვოლგას მხარეს.

# გენუას კონფერენციისათვის

**ბალტიის მხარის სახელმწიფოთა ინტრიგა.**

**რეველი.** 24 იანვარი (რადიო). მზადდება ბალტიის სახელმწიფოთა გენუის კონფერენციაზე გაერთიანებული გამოსვლა რუსეთის საკითხის შესახებ. ბალტიის სახელმწიფონი შეშფოთებული არიან რუსეთის ვალების ნაწილი მათზე გადატანის მოსალოდნელ შესაძლებლობით.

**როგორ მუშებს გზავნიან ისინი.**

**მოსკოვი.** 25 იანვარი (რადიო). იტალიის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიამ დაადგინა, წინადადება მისცეს მოკავშირეთა სახელმწიფოებს, რომ გენუაში გასაგზავნ დელეგაციაში იქნან შეყვანილი მუშათა და კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**ამერიკის მონაწილეობა.**

**ნაუენი,** 25 (რადიო). შეერთებულ შტატების ვაჭრობის მინისტრი ხუვერი ალბად გაიგზავნება გენუას კონფერენციაზე, თუ ამერიკის მიერ გენუის კონფერენციაში მონაწილეობის საკითხი გადაწყდება დადებითად. ხუვერმა უკვე გამოიმუშავა პროგრამის ძირითადი მუხლები, რომელსაც იგი წარუდგენს გენუის კონფერენციას ჩრდილო-ამერიკის მთავრობის სახელით, ეს პროგრამა მთავრობამ პრინციპიალურად უკვე მოიწონა, მისი დედა აზრი შემდეგში მდგომარეობს: 1) ამერიკა ფიქრობს, რომ ევროპა დამოკიდებულია შემდეგში ქაღალდის ფულების გამოშვების შეწყვეტაზე; 2 ბიუჯეტის მოწეს… არა თუ მარტო ქაღალდზე, … საქმითაც; 3) გერმანიის საკო… ბუციო გადასახადის ოდენობის … ყარება, მის გადასახადის შეს… ლობასთან შეფარდებით და … რისა და სამხედრო ხარჯების … ცირება, რომელიც ანადგურე… როპას. „ტაიმს“ მიყავს … პროგრამა პუანკარეს პროგრამის… დით და აცხადებს, რომ გერ… ვალდებულია გადაიხადოს სრუ… კონტრიბუცია, წინააღმდეგ შ… ვაში საფრანგეთი უარს იტყვ… ნუის კონფერენციაში მონაწილე… აღნიშნავს რა საფრანგეთის და… რიკის მთავრობათა შეხედულ… წინააღმდეგობას, „ტაიმსი“ ა… რომ ძველი ამერიკის ხალხი … ფულებით მიიღებს ხუვერის პრო… მას, რომელზედაც ამერიკის მთა… ბამაც არ უნდა სთქვას-უარი.

**პარიზი.** 25 იანვარი. (რა… „ტანი“ სწერს: გენუის კონფერ… უშედეგო იქნება თუ მასში მო… ლეობას არ მიიღებს ამერიკა. … თანავე ცნობილია, რომ ამერიკ… ნახმაა მიიღოს მონაწილეობა გ… კონფერენციაში მხოლოდ იმ პ… ბით, თუ გადაწყვეტილი იქნებ… კითხი ევროპის ვალების შესახე…

**ამერიკა უარს ამბობს გენუას … ფერენციაში მონაწილეობის მ… ბაზე.**

**ნაუენი,** 26 იან. რადიო. „დე… მაილი“ და „ჩიკაგო ტრიბუნი“ …

# კომპარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია

სწარმოებს კამათი კომუნისტური ინტერნაციონალის შესახებ ამხ ზინოვიევის მოხსენების გარშემო. სიტყვა ეძლევა ამხ. ტროცკის, რომელსაც, მისი თხოვნისამებრ, კონფერენცია წინასწარ უგრძელებს სალაპარაკო დროს.

**ამხ. ტროცკი.**

ამხანაგებო, დღევანდელი გაზეთები გვატყობინებს, რომ ჩვენ თითქმის უკვე გვიცნეს ოთხი წლის არსებობის შემდეგ, რომ უნდა მოხდეს კონფერენცია გაზაფხულზე, სადაც ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ, როგორც საბჭოთა რესპუბლიკა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი უდიდესი და უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია. მიუხედავათ ამისა მე ვფიქრობ, ევროპის დღევანდელი ვითარება და მუშათა საერთაშორისო მოძრაობა (ხოლო ამას უახლოესი კავშირი აქვს ამხ. ზინოვიევის მოხსენებასთან) ისეთია, რომ ჩვენი ცნობა ასე უბრალოდ და იოლად არ მოხდება.

პოლიტიკური მდგომარეობა,—რომელიც თანასწორ გავლენას ახდენს როგორც მუშათა კლასზე, ისე ყველა მთავრობასა და მთელი მსოფლიოს ეკონომიურ ყოფა ცხოვრებაზე, — ამ ჟამად მეტისმეტათ რთულია. ერთის მხრით, ღრმა კრიზისი, ეკონომიური კრიზისი, რომელიც მხოლოდ ლიკვიდაციის პროცესშია, მეორეს მხრით, ბურჟუაზიული პარტიის, სახელმწიფოს პოლიტიკური თვითრწმენის გაძლიერება. ერთის მხრით, ისევ გრძელდება უდიდესი ეკონომიური გაჭირვება, კრიზისი მისწვდა სავაჭრო სამრეწველო ცხოვრების ყველა კუთხეს, ხოლო მეორეს მხრით ჩვენ თვალ წინ არის აღდგენილ სახელმწიფოებრივ აპარატის ძლიერ დაპყრობილი პოზიციები და აქედან გამომდინარე იმედი ბურჟუაზიისა, რომ მძიმე, სახიფათო მომენტები უკვე უკან დარჩნენ. თუ ამ ჟამად ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზიამ, თავისი მმართველი კლასის სახით, მოისურვა ჩვენი ცნობის საკითხის განხილვა ბალანსის თვალსაზრისით, სავაჭრო სამრეწველო სარგებლიანობის თვალსაზრისით; ეს უნდა აიხსნას აღნიშნული ორი მიზეზით. ბურჟუაზიის ეკონომიური მდგომარეობა მძიმეა. იგი ეძებს გამოსავალს, რუსეთის მონაწილეობის გარეშე მსოფლიო სამეურნეო ტრიალში, მაგრამ გრძნობს თავს იმდენად კარგად პოლიტიკურ სფეროში, რომ შესაძლებლად მიაჩნია მარტოოდენ მანევრების ენით ილაპარაკოს ისეთ, ფრიად თვალსაჩინო სხეულს, როგორიც არის საბჭოთა რუსეთი [illegible] საფუძველი, რომელიც გასკვნილია ევროპისა და საერთოდ მსოფლიოს მთელი მდგომარეობით ომის შემდეგ. ეკონომიურად კრიზისი თავდება, ევროპაში და მთელ მსოფლიოში არის სრულიად უეჭვო, სერიოზული, ნათელი სიმპტომები ეკონომიური გამოცოცხლებისა და ამ გარემოებას, მთელი ვითარებისა და უახლოესი პერსპექტივების გასაგებად, აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

იმ ამხანაგებმა, რომელნიც დაესწრნენ უკანასკნელ საერთაშორისო კონგრესს და თვალყურს ადევნებდნენ იდეურ ბრძოლას,—იციან, რომ ყველა ეგ საკითხი განხილული იყო კონგრესზე, და განსაკუთრებით მის კომისიებში, მუშათა მოძრაობის ბედიღბალის თვალსაზრისით უახლოეს ეპოქაში. იყო ერთი ჯგუფი კონგრესზე ნაკლებად დარაზმული. იგი ფიქრობდა, რომ ის სავაჭრო-სამრეწველო კრიზისი, უმწვავესი, უმძაფრესი, რომელსაც ჩვენ განვიცდით კონგრესის დროს, არის უკანასკნელი კრიზისი კაპიტალისტური საზოგადოებისა, რომ ეგ კრიზისი, ფატალურის აუცილებლობით უნდა გაღრმავდეს, უნდა გაფართოვდეს, პროლეტარიატის დიქტატურამდე. ეს არის სრულიად არა მარქსისტული, არა მეცნიერული, მექანიკური წარმოდგენა რევოლუციის წარმოშობისა და მისი განვითარებისა. ზოგიერთს ასეთი დასკვნა გამოჰყავს: რადგან ჩვენ ვცხოვრობთ რევოლუციურ ეპოქაში, რადგან კრიზისი თანდათან ღრმავდება პროლეტარიატის სრულ გამარჯვებამდე—ჩვენი პარტია უნდა გამოვიდეს საერთაშორისო არენაზე, ხოლო პროლეტარიატის ვრცელი მარქაფა რაზმები, დღევანდელი აღნიშნული კრიზისით, მხარს დაუჭერს მას მუშათა უკანასკნელ შეტევაში. ჩვენი დელეგაცია კონგრესზე იბრძოდა ამ შეხედულების წინააღმდეგ და აღნიშნავდა, რომ ეგ მოსაზრებანი არ არის სწორი, არ არის მეცნიერული. წონასწორობა ევროპასა და ამერიკას შორის კვლავ აღუდგენელია, თვით ევროპა დაჩეხილია, ცენტრალი და აღმოსავლეთი ევროპა განადგურებული და არსებითად გრძელდება რუსეთის ბლოკადა.

საერთაშორისო მდგომარეობის დაჭიმული ნერვები, უიმედობა, ვალიუტის გაოხრება, დავალიანება და ფინანსიური ქაოსი—აი, ომისაგან მიღებული ფაქტორები, ხოლო მათ დღევაში კაპიტალიზმი სტიქიური ძალით სცდილობს ფეხზე წამოდგეს, ზევით აიწიოს. შესაძლებელია ეს თუ არა?

[illegible] რომ [illegible] შეიძლება ითქვას: თუ ამ სტიქიურ ძალებს ექნა საშვალება მუშაობის გაგრძელებისა, და პროლეტარიატი იქცა პასიურ მასად, ხოლო კომუნისტური პარტია ისეთ ორგანიზაციად, რომელიც ყოველ ნაბიჯზე სცდება,—მაშინ, ასეთი მდგომარეობის შედეგი იქნება ის, რომ ეკონომიურ ძალთა სტიქიური მუშაობა, ისარგებლებს რა მუშათა კლასის პასიურობას და კომუნისტური პარტიის შეცდომებს, ბოლოს და ბოლოს, ევროპის მრავალი მილიონი პროლეტარიატის ძვლებზე, მრავალი ქვეყნის განადგურების გზით, აღადგენს ახალს, ამა თუ იმ სახის, კაპიტალისტურ წონასწორობას. 20—30 წლის შემდეგ შეიქმნება ახალი კაპიტალისტური წონასწორობა, მაგრამ ამასთანავე დაილუპება მრავალი თაობა დაეცემა ევროპის კულტურა და სხვ. და სხვ. ეს არის წმინდა განყენებული წარმოდგენა, რომელიც უყურადღებოთ სტოვებს მთავარ, ძირითად ფაქტორებს,—მუშათა კლასს და მის მართველს—კომუნისტურ პარტიას,

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეკონომიკის გვერდით, რომელიც ქმნის ბურჟუაზიული სახელმწიფოს შეგნებულ მანევრებს, არის მეორე ფაქტორი, რომელიც ამ ეკონომიკას ეყრდნობა და ანგარიშობს მას, რომელიც აფასებს ყველა გარდატეხას ყველა ზიგზაგს, რომელიც ითვალისწინებს ბურჟუაზიული სახელმწიფოს თვითეულ მანევრს და სთარგმნის მას რევოლუციონური ტაქტიკის ენაზე. ავტომატიური, შეტევითი მოძრაობის აზრით, ზოგიერთი ამხანაგებისა, რომელთაც სწამდათ, რომ აწინდელი სავაჭრო სამრეწველო კრიზისი გაგრძელდება პროლეტარიატის გამარჯვებამდე, — ეგ აზრი სავსებით ეწინააღმდეგება მარქსის ეკონომიურ თეორიას. ამ კრიზისის განვითარება, კაპიტალიზმის აყვავების ეპოქაში, კაპიტალიზმის შეფერხების ეპოქაშიც, და კაპიტალიზმის დაცემასა და ეკონომიურ ძალთა დაშლის ეპოქაშიც, ხდება განაზღვრული ციკლებით: აწევა, დაწევა, აწევა, დაწევა და მათ შუა ცალკე სტადიები; ამასთანავე ეგ ციკლები საშვალოდ, მაგ. 150 წლის წინად გრძელდება 9 წელიწადი. ამ ქანაობას აქვს თავისი შინაგანი ღრმა ლოღიკა და გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ, თუ 1920—1921 წლებში ევროპაში არ მოხდა რევოლუცია მაშინ 1920—1921—1922 წლებში აწინდელი მწვავე კრიზისი დაუთმობს ადგილს სავაჭრო-სამრეწველო აღორძინების სიმპტომებს, ხოლო შემდეგ უფრო თვალსაჩინო მოვლენასა და ფაქტებს. და რომ ვიკითხოთ—როგორი იქნება ეგ წინსვლა, ეგ აწევა, რა ფარგლებში გაიშლება იგი, როგორი იქნება მისი სიღრმე,—ამ შემთხვევაში მდგომარეობის გასათვალისწინებლად შეიძლება ავიღოთ ადამიანის სუნთქვა: ადამიანი სუნთქავს მუდამ, ვიდრე არ მოკვდება; მაგრამ ადამიანი ახალგაზრდობაში, მომწიფებული, და ადამიანი მომაკვდავი სუნთქავს სხვა და სხვა ნაირად, და სუნთქვის მიხედვით შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა ორგანიზმის ჯანსაღობაზე, მაგრამ ადამიანი მაინც სუნთქავს ვიდრე ცოცხალია, სანამ არ მოკვდება. ასევეა კაპიტალიზმის ცხოვრება: ამ ტალღების ქანაობა, აწევა და დაცემა. აუცილებელია ვიდრე კაპიტალიზმს საბოლოოდ არ ალგვის ძლევამოსილი პროლეტარიატი. მაგრამ, მაღლა მიიმართება კაპიტალიზმი, შეჩერებულია იგი, თუ ძირს ეშვება,—ეს შეიძლება გავიგოთ აღორძინებისა და კრიზისის ტალღების ქანაობით. ეხლა თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ კრიზისი, რომელიც დაიწყო 1920 წ. გაზაფხულზე და რომელმაც უმაღლეს წერტილს მიაღწია 1921 წლის მაისში, გრძელდებოდა საშვალოდ სხვადასხვა გვარი ქანაობით 15, 16, 17, 18 თვე. იმის შემდეგ, რაც ამ კრიზისმა შეასრულა მუშაო ყოველი კრიზისისა, ე. ი. ამოსწურა მთელი ზედმეტი საქონელი და ზედმეტი საწარმოო ძალა,—ამის შემდეგ, კაპიტალიზმის განვითარებას მიეცა ერთგვარი დამატებითი თავისუფალი სივრცე. იწყება გამოცოცხლება, რომელიც იხატება იმაში, რომ ფასები ზევით იწევს ხოლო უმუშევრობა იკლებს. ვისაც ეს საკითხი აინტერესებს, წაიკითხოს პავლოვსკის წერილი „კომუნისტური ინტერნაციონალის“ უკანასკნელ ნომერში. არის კიდევ მრავალი წერილი სმიტისა „ეკონომიურ ცხოვრებაში“, რომ არ ვილაპარაკოთ უკვე სპეციალ ეკონომიურ ჟურნალებზე. ეხლა დავა იმის შესახებ,—ღრმავდება კრიზისი თუ არა,—საჭირო არ არის.

რომ შევაფასოთ, დღეს ყველასათვის თვალსაჩინო, ტალღა მუშათა მოძრაობაში,—უნდა ვსთქვათ, რომ იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ვაჭრობა მრეწველობაში დაწყებულ გამოცოცხლებასთან. ეს სავაჭრო სამრეწველო გამოცოცხლება—მისი სიღრმე, რასაკვირველია, განისაზღვრება კაპიტალიზმის მდგომარეობით მთლიანად, მას შემდეგ, რაც პირველი სანგარი—თავბრუდამხმელი ფასები, მორეცხა და მოჰკლიჯა სავაჭრო სამრეწველო კრიზისმა, და საწარმოო ძალას მიშლილსა და დაფლეთილს, მიეცა საშვალება დაძრულიყო ზევით (ამას ჩვენ ვამჩნევთ ხვალ, ზეგ ერთი წლის, ორი წლის შემდეგ, (ვადის განსაზღვრა ძნელია) იგი (საწარმოო ძალა) დაეჯახება აღმოსავლეთ ევროპის განადგურებას, დასავლეთ ევროპის თავჯარდამცემ მდგომარეობას, და იმ ვალიუტას, რომლის გაჯანსაღებისათვის ჯერ კიდევ მეტად დიდი დროა საჭირო.

და აწევა, აღორძინების ტალღა, არ იქნება ისეთი გიგანტიური, როგორიც ჩვენ გვინახავს 1914 წლამდე იგი იქნება, ალბათ, საკმაოთ დასნეულებული, ზიგზაგებით,—არა მარტო ზევით არამედ ზიგზაგებით ძირსაც ეს —უეჭვო ფაქტია. მაგრამ მიუხედავათ ამისა, იგი არის მუშათა მოძრაობის ეკონომიკისა და პოლიტიკის ახალი ეტაპი, ახალი პერიოდი აღორძინების ტალღის საფუძველზე. საიდან წარმოსდგა ეგ ტალღა? ორი სიტყვით მოგახსენებთ ქრონოლოგიას: 1914 წ. უნდა დაწყებულიყო კრიზისი, დაიწყო იმპერიალისტური ომი. მან გადასჭრა გახრილი ხაზი ეკონომიური განვითარებისა და დაიწყო სამხედრო დროის გახელებული აწევა, მტაცებლობისა ცეცხლისა და მატერიალური ძალთა და კონების განადგურების საფუძველზე არის უსაზღვრო დავალიანება სამეურნეო აპარატის მოშლა, უმინობა, ყველა საფუძვლების რყევა, ზღვა ქაღალდის ფული და სხვ. ომი გათავდა. 1918 წ. დემობილიზაცია. ყველაზე სახიფათო მომენტი. მუშამა და გლეხმა დასტოვა არმია, დაუბრუნდა გატეხილ, გაცივებულ კერას. სხვა და სხვა საგნების დაკვეთა ომისათვის შეწყდა. კრიზისი მწვავდება. ღრმავდება. რომ ამ ხანაში კომუნისტური პარტია ყოფილიყო იმის ნახევარი, რაც იგი არის დღეს გერმანიაში, ან საფრანგეთში,—პროლეტარიატი დაიპყრობდა ხელისუფლებას. 1919 წელში (ეს საოცნებოთ შეიძლება ითქვას) იგი არ არსებობდა. მთავრობამ ისარგებლა მით, რომ იგი არ არსებობდა და, ემზადებოდა რა დემობილიზაციის, გააგრძელა სამხედრო-ეკონომიური პოლიტიკა 1919 წლის განმავლობაში. ჩვენ ვხედავთ, რომ ქაღალდის ფულის გამოცემა არ შეწყდა, ძველი დაკვეთა რჩება ძალაში, ან ცვლება ახალით; ეს ხდება მხოლოდ იმ მიზნით, რომ კრიზისი არ დაიწყოს; 1919 წელმა გაიარა ამ ნიშნის ქვეშ მრავალი მილიარდების დათმობისა ბურჟუაზიული სახელმწიფოს მხრივ, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ მშრომელი ხალხის ხარჯზე. ეს არის თავისებური მორატორიუმი, ვადის გადადება, გაგრძელება ხელოვნური, ფაქტიური. კაპიტალი მიდის პოლიტიკური დათმობის გზაზე, მან შემოიღო 8 საათის სამუშაო დღე; ამოვარდა სტიქიური ტალღა მუშათა შეტევისა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე, რომელიც იმ დროს თითქმის არ არსებობდა.

ანგარიშის გასწორება დაიწყო 1919 წლიდან: დაიწყო კრიზისი. ბურჟუაზია და მისი სახელმწიფო თვალის… წინებდა კრიზისს, მაგრამ ვერ … ცვალა მექანიკის კანონი. როდ… პირველი რევოლუციონური მ… ობანი დამარცხდა, ეს იმიტომ მო… რომ არ იყო სათანადო გამოცდ… ბა, არ იყო კომუნისტური პარ… კვალდაკვალ იწყება შინაგანი ბრ… ლა, გახეთქილება და სასოწარ… თილება მუშათა ფართო მასს… უფრო მომხადებულ წრეში, რომ… საც 1918 წელში საქმე ბევრად … რო იოლად და მარტივად ჰქო… წარმოდგენილი. ბურჟუაზიის გა… თარება, სამუშაო ხელფასის შემ… რება—აი, მომენტის თვისება; … დოპის გრძობა,—გაფიცვები მარ… დება, უმუშევართა არმია განუზ… ლია.

ასეთ პირობებში კრიზისი ერთ… ვის პოლიუსზე უნდა ყოფილიყო … რო ხანგრძლივი, ვიდრე რეფორმ… ტული ილუზიები, ხოლო მეორე… უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ანარ… ტული ილუზიები. კომუნისტური პ… ტია, ამავე დროს, უწყებულ მომე… მი, გრძნობდა თავის იზოლიაც… მასსებისაგან, და რამდენადაც … არ სჩანდა ომის ლიკვიდაციის მ… მენტში, რამდენადაც ბურჟუაზ… მოახერხა მწვავე პერიოდის გადატ… ნა, რამდენადაც, შემდეგ, კრიზ… ენერგიულად დაჰკრა მასსებს,—რ… მელმაც უკვე გაიკადა პირველი პ… ლიტიკური სასოწარკვეთილება,— … დეხად, მხოლოდ ამ კრიზისის მ… როქის შესუსტებას, შეუძლიან გამ… იწვიოს მუშათა მასსების რევოლ… ციონური ენერგიის ახალი ამოძრ… ვება. და ამას დღეს ვხედავთ ნა… ლად.

ეგ კრიზისი, თავის თავად ცხად… არ არის იმდენად ღრმა, რომ ბუ… ჟუაზიამ შესძლოს გადასწყვიტოს, … კინდ ერთი მეასედი, თავის წ… ნააღმდეგობათა და გაჭირვების… მაგრამ იგი (კრიზისი) მაინც საკმაო… ძლიერია იმისათვის, რათა მუშათა კლასმა იგრძნოს, რომ იგი არის მ… ტარებელი წარმოებისა, რომ მ… მხრებზე სდგას მთელი სამყარო … რომ ბურჟუაზია, კაპიტალი—დღით დღე, უფრო მეტად და მეტად ი… ცევა მასზე დამოკიდებულ მოვლ… ნად.

და მთავარი ის არის, რომ მუშათა კლასს დღეს ჰყავს ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია ბრძოლის გ… მოცდილებით, შეცდომების გამოც… დილებით, (შეცდომების გამოცდილება არის ყველაზე ძვირფასი გ… მოცდილება), და მრავალი გამარჯვე… ბის გამოცდილებით, რომელსაც ჩვე… ვამყარებთ შეცდომის გაკვეთილების გამოყენებაზე. აი, მდგომარეობა, რო… მელიც ჩვენა გვაქვს დღეს.

შეგვიძლიან დანამდვილებით ვსთქვათ, რომ ეს ეტაპი შინაგანი დიფერენცია…

ტყობინებიან: ამერიკის მთავრობამ უკანასკნელ სხდომაზე ვაშინგტონში დაადგინა, უარი სთქვას საბოლოოდ გენუის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე.

### ოსმალეთის მონაწილეობა.

ნაუენი, 26 იან. რადიო. ოსმალეთის მთავრობა დაჟინებით მოითხოვს ანგორის მთავრობის წარმომადგენლის გენუის კონფერენციაზე მიწვევას.

### საბჭოთა რუსეთი და გენუა

ნაუენი, 26 იან. რადიო. გერმანიის მთავრობის სააგენტო იტყობინება: ლონდონში მყოფ სავაჭრო პალატის რუსეთის სექციამ მიიღო დადგენილება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა არ უნდა იქნეს მიწვეული გენუის კონფერენციაზე მანამდე, სანამ არ განაცხადებს თანხმობას უმაღლეს საბჭოს ცნობილ დადგენილების ყველა 6 პუნქტის მიღების შესახებ. რუსეთის სექცია ამას გარდა მოითხოვს რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის მიერ კერძო საკუთრების პრინციპის აღიარებას და მრეწველობის თავისუფალ განვითარებას, რომელზედაც, „რუსეთის სექციის" აზრით დამოკიდებულია რუსეთის აღორძინება, ვინაიდან ამ ორ უკანასკნელ პრინციპებს შეუძლიათ უზრუნველყონ რუსეთის ეკონომიური განვითარება და რუსეთის მიერ თავის ვალდებულებათა შესრულების შესაძლებლობა.

### „ლენინის თანხმობა"

რომი. 26 იანვარი, (რადიო). ინგლისურ წყაროებიდან იტყობინებიან; რომ „ლენინმა განაცხადა თავისი თანხმობა გენუას კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შესახებს". ჩიჩერინმა აცნობა იტალიის მთავრობას, რომ გენუის კონფერენციაში მონაწილე რუს დელეგატთა სახელები გამოქვეყნდება 27 იანვარს.

### ლოიდ ჯორჯის აზრი.

ლონდონი. 26 იანვარი (რადიო) ლოიდ ჯორჯი აცხადებს: საერთაშორისო კონფერენცია რომ მოწვეული ყო 1914 წ. ადვილი შესაძლებელი იყო ომის თავიდან აცილება. გენუის კონფერენცია თავის შინაარსით და მიზნებით არის ერთი უდიდესი კონფერენციათაგანი. გენუაში, ლოიდ-ჯორჯის სიტყვებით, შეიკრიბებიან ყველა ერთვნებათა სახელმწიფოების მოღვაწეები დიდ საზავო ხელშეკრულების დასადებად. ლოიდ-ჯორჯი სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ამ კონფერენციაზე რომ არ ყოფილიყვენ მოწვეული რუსეთი და ამერიკა, მაშინ კონფერენცია დაკარგავდა თავის აზრს.

რომელიც ფერფლად აქცევს მთელ მსოფლიოს იმპერიალისტურ წესწყობილებას. გაუმარჯოს მსოფლიოს სოციალისტურ ინტერნაციონალს, იმ ბურჯს რომელიც აძლევს მიმართულებას საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის ძალას!"

### ინდოეთის წარმომადგენლის სიტყვა.

ინდოეთის კომუნისტურ პარტიის წარმომადგენელი ამბობს: „ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს რუს ამხანაგთა მაგალითები, ჩვენ იგი უნდა გავიმეოროთ ჩვენ ქვეყანაში".

# ქრონიკა

**ინტერნაციონალური საღამო.** ორშაბათს 30 იანვარს რუსთაველის თეატრში საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია მართავს ინტერნაციონალურ საღამოს პროლეტარულ შემოქმედებისა დასასრულ დადგმული იქნება „აჯანყება" ვერჰარნისა; მუშათა ორგანიზაციების, ახალგაზრდათა კავშირის, წითელ არმიელებისათვის შესვლა უფასოა. ასოციაციის წევრები უნდა გამოცხადდნენ დღეს დილის 10 საათზე პოლიტიკურ განათლების საგიტაციო განყოფილებაში.

**სტატისტიკური „ბიულეტენების" გამოცემა.** ვინაიდან ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ჟურნალის „საქ. სტატისტიკური მოამბის" სისტემატიური გამოცემა ფერხდება ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო, ცენტრ. სტატ. სამმართველომ გადაწყვიტა ჟურნალთან ერთად გამოსცეს ყოველთვიური სტატისტიკური ბიულეტენები, რომელშიც მოთავსებული იქნება უმთავრესად მიმდინარე სტატისტიკური მასალები. „ბიულეტენის" პირველი ნომერი გამოვა თებერვლის პირველ რიცხვებში.

**სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა ყრილობა** გაიხსნება 30 იანვარს ორშაბათს დილის 9 ს. საბჭოს მცირე დარბაზში (მუშათა სასახლე—1 ს.)

**თათბირი სათბობის შესახებ.** ს. მ. უ. ს. მომარაგების საბჭოს სათბობის განყოფილება აცხადებს. რომ 30 იანვარს დღის 12 საათზე, განყოფილების ბინაზე, სასახლის ქუჩაზე, № 6, მოხდება სათბობის კომიტეტის სხდომა სათბობით მომარაგებით საკითხის შესახებ, აზნეფთთან ხელშეკრულობის დადებასთან დაკავშირებით.

**ლომისი № 6.** გამოვიდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველ-კვირეული ჟურნალი „ლომისის" მე 6 ნომერი შემდეგი შინაარსით: რაბინდრანატ ტაგორე: საუკუნის მზეს. ლევან ასათიანი: სერენადა. კონსტანტინე გამსახურდია: ლიგიერი დანტე. ზიგურიდ გუნაძე: რომის კათედრალები. ხელოვნების მატიანე ვასილ ბაროლკი: ხალხთა სასძლო (ისტორიული რომანის გაგრძელება).

**ლიტერატურული ხუთშაბათი.** 2 თებერვალს [illegible]

# შორეულ-აღმოსავლეთის მშრომელთა ყრილობა

მოსკოვი. 26 იანვარი, (რადიო. შორეულ აღმოსავლეთის რევოლიუციონურ მოძრაობას ახასიათებენ დე- [illegible]

გორც შორეულ აღმოსავლეთში, ისე მთელ მსოფლიოში.

### კორეის დელეგატის სიტყვა.

[illegible]

ყრილობა მოგვცემს მძლავრ შეკავშირებულ ორგანიზაციას და მოქმედების გარკვეულ გეგმას. ჩვენ გვწამს, რომ კაპიტალისტებისა და იმპერიალისტების უკანასკნელ დღესთან ერთად დადგება დღე ჭეშმარიტ ბედნიერების და თავისუფლების რო- [illegible]

[illegible] თვის. ჩვენ უკვე ვერთიანდებით და ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს: „შორეულ აღმოსავლეთის მშრომელებო, შეერთდით!" ჩვენ გვსურს, რომ ამ კონგრესმა, ათავებს ვაკო-კიენი, გადაიღოს რუსეთის მოძრაობის გეგმა,

# საბჭოთა არჩევნები საქართველოში

### ზუგდიდის მაზრა.

ზუგდიდის სამაზრო საარჩევნო კომისია 26 იანვრის დეპეშით ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისია, რომ ქ. ზუგდიდში საბჭოს არჩევნები უკვე დამთავრებულია. არჩევნებში მონაწილეობა მიუღია 2000 ამომრჩეველზე მეტს, საარჩევნო კრე- [illegible] ყველა მედგრად იბრძოლონ პროლეტარიატის იდეალებისათვის. კომუნისტების მიერ წარდგენილი სია ერთხმად გასულა. აურჩევიათ 11 დეპუტატი, რომელთა შორის 8 კომუნისტია და სამი მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტი.

### ახალციხის მაზრა.

ახალციხის სამაზრო საარჩევნო კომისია დეპეშით ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ ახალციხეში სამაზრო საბჭოთა ყრილობა გაიხსნა 25 იანვარს, რომელსაც დაესწრო 80 დელეგატი (მათ შორის 50 უპარტიო და 30 კომუნისტი) არჩეულ იქნა სამაზრო აღმასკომი 13 კაცისაგან, რომელთა შორის 10 კომუნისტია და 3 უპარტიო. არჩეულ იქნა აგრეთვე სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისათვის 9 დელეგატი, რომელთა შორის 7 კომუნისტია, ხოლო 2 უპარტიო.

26 იანვარს შუადღის 2 საათზე ახალციხეში გახსნილ იქნა პირველი საზეიმო სხდომა სამაზრო აღმასკომისა, რომელზედაც არჩეულ იქნა 3 კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ გავიდა ამხ. მატრაძე, მის მოადგილეთ ამხ. ლვამიჩავა და მდივნად ამხ. ტროინინი.

### თელავი.

თელავის სამაზრო საარჩევნო კომისია 24 იანვრის დეპეშით ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შემდეგს: „დამთავრდა არჩევნები 7 თემში: ენისელის, საბუეს, შილდის, ყვარელის, ახალგაზიის, ძველი გავაზის და არეშის. ყველგან ბრწყინვალედ გაიმარჯვეს კომუნისტებმა. იყალთოს და წინანდლის რაიონებში არჩევნები იწყება 26 იანვარს. დაწვრილებითი ცნობები გეგზავნებათ ფოსტით, 33. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ქურციკაშვილი".

### თელავის მაზრა.

თელავის სამაზრო საარჩევნო კომისია 27 იანვრის დეპეშით ატყობინებს [illegible] არჩეულ იქნა 26 იანვარს, ცხოვრებათა საერთო რიცხვი უდრის 2193 კაცს. ამომრჩეველთა რიცხვი—1182-ს, რომელთაგან საარჩევნო კრებას დაესწრო 560 ამომრჩეველი. სათემო საბჭოში არჩეულ იქნა 22 დეპუტატი, რომელთა შორის 17 კომუნისტია და 5 უპარტიო.

### ლეჩხუმის მაზრა.

ლეჩხუმის მაზრაში [illegible] არჩევნები ყველგან კარგად ჩატარდა. საბჭოებში უმეტესად კომუნისტები იქნენ არჩეულნი. ხალხი აღტაცებით შეხვდა არჩევნებს. აბსენტეიზმი მეტად უმნიშვნელოა. ამჟამად ემზადებიან სამაზრო ყრილობის მოსაწვევად, რომელიც მოწვეულ უნდა იქნას არა უგვიანეს 10 თებერვლისა.

### ზუგდიდის მაზრა.

ზუგდიდის სამაზრო საარჩევნო კომისია 22 იანვარის დეპეშით ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ მაზრაში სათემო საარჩევნო კომისიები უკვე მოწყობილია. ამჟამად გრძელდება ამრჩეველთა სიების შედგენა. სათემო არჩევნები 30 იანვრამდის დასრულდება.

### დიღომის თემის საბჭო.

პარასკევს 20 იანვარს თბილისის მაზრის სოფელ დიღომში პირველად შესდგა დიღომის თემის გლეხთა და წითელ არმიელ დეპუტატთა საბჭოს სხდომა. საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეული იქნა კომუნისტი ამხ. დათიკო [illegible]. სანამ სხდომა საბჭოს ორგანიზაციული კითხვებზე გადავიდოდა მოსმენილი იქნა მოკლე მოხსენება თბილისის მაზრის საარჩევნო კომისიის რწმუნებულის ამხ. ს. თალაკვაძისა, რომელმაც განუმარტა არჩეულ დეპუტატებს დაკისრებული მოვალეობა. იმ მშრომელი გლეხების წინაშე, რომელთაც მათ მიანდვეს თავიანთი ინტერესების დაცვა, თავიანთი ბედიღბლის გამგებლობა. შემდეგ გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშები:—რევკომს, ცეკას, წითელ [illegible] კომუნისტი) და 3) მ. თეთრაშვილი (უპარტიო, წევრი).

ყრილობის დელეგატებად აირჩიეს: 1) ამხ. თევდორე კალანდაძე და 2) მ. თეთრაშვილი.

---

ციისა მუშათა მასსაში, რომელიც განსაკუთრებული სიმკაფრით დაიწყო 1920 წელში და აღინიშნა 1920 წლის გასულს,—ეს პერიოდი დაქაქ ვისა კომუნისტების იზოლიაციისა და მათი აშკარა უმცირესობაში მოქცევისა, ცხადგამოწვევით ეს უმცირესობა გამოდის ისე, თითქოს იგი უმრავლესობას შეადგენს, მაგ. გერმანიაში,—ეს პერიოდი, საერთოდ და მთლიანად დარჩა უკან, და ამაზეა დამყარებული ის აბსოლუტურად სწორი ტაქტიკა, რომელსაც გვაწვდის კომუნისტური ინტერნაციონალი და რომელსაც აქ იცავს ამხ. ზინოვიევი. რამდენხანს გაგრძელდება ეს გამოცოცხლება, რა ფორმებს მიიღებს იგი,—ამის წინასწარმეტყველება, ამხანაგებო, ძნელია. ავითმყოფური ფორმებს, ეს ტალღები შეპყრობილი იქნება ცვებ-ცხელებით, მაგრამ ეს უზრუნველყოფს რევოლიუციონური დუღილის პირობებს. ხელმძღვანელი კომუნისტური პარტიის არსებობის დროს შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ რევოლიუციონური მოძრაობის ტალღა, რომელიც დღითი-დღე იზრდება, თავის მხრებზე ასწევს მუშათა კლასის ყველა ჯგუფს, ე. ი. ოპორტუნისტებსაც, ცენტრისტებსაც და კომუნისტებსაც აზიდავს მაღლა. ჩვენ იძულებული ვხდებით ვეძიოთ პრაქტიკული შეთანხმება ამ ტალღის მოთხოვნილების გავლენით. მაგრამ, ამავე დროს, სწორედ იმიტომ რომ იგი ყველას ზევით ეზიდება, სწორედ ამიტომ, ეს ტალღა ფეხზე აყენებს მუშათა კლასის მოქმედებისათვის და ყველა ჯგუფს ამოწმებს მოქმედებაში.

ის, რაც წინად იყო თეორეტიული პოლემიკა, დისკუსია უმცირესობის პოლიტიკურ პარტიათა, იქცევა მეთოდების შესწორებად უმრავლესობაში. ამ ტალღის სრბოლას ჩვენ მივყვებით ზევით ბოლომდე, ხოლო სხვანი დაიხრჩობიან მის ქვეშ. და საერთაშორისო მდგომარეობა განისაზღვრება სავსებით ამ გარემოებით.

ბურჟუაზიას მეტად დიდი იმედი აქვს თავის თავისა, ეკონომიური კრიზისი უღრესად მძიმეა; სამრეწველო გამოცოცხლება მასაც უხსნის პერსპექტივებს, მისი მთავარი სფერო, რა თქმა უნდა, მოაცლის ამ ტალღას ოქროს ნალებს, (აპარატი მის ხელშია). ჩვენ, გვაქვს ინტერნაციონალის გამოცდილება, აგრეთვე მისი ხელმძღვანელი პარტიები და ელემენტები, და ვსინჯავთ გარკვეულ ფორმულებში ვსახავთ აღნიშნული ტალღის სიმპტომებს, მაგრამ ბურჟუაზია ვერ აფასებს ამ უკანასკნელს მთელი მისი ისტორიული მნიშვნელობით. ბურჟუაზიის თვითრწმენა ფრიად მაღალია. და აი, ამ გარდატეხთა პერიოდში იგი იწვევს ვაშინგტონის კონფერენციას და იწყებს მსჯელობას იმის შესახებ რომ ჩვენ მიგვიპატიჟოს გაზაფხულის ახალი კონფერენციაზე. მისი თვითრწმენა, ჩვენი სიმშილი, ჩვენი ჯოჯოხეთური ეკონომიური მდგომარეობა,—მოწმობს იმას, რომ ბურჟუაზიის ჩვენთან სჯა-ბაასი წარმოდგენილი აქვს გაცილებით უფრო იოლად და უბრალოდ, ვიდრე ეს ნამდვილად იქნება.

უპეტესად წინდახედული ამერიკაა. მან შეთანხმება დასდო იაპონიასთან. და იაპონიისათვის მანდატის მიცემა ჩვენ გასაგლეჯად, დიდებულად არის შეთავსებული ფილანტროპიულ მოღვაწეობასთან ჩვენი დამშეულებისათვის. ერთი ავსებს მეორეს შესანიშნავად. იქ—აღმოსავლეთში დიდი მანევრია.

არის სხვა მანევრებიც დასავლეთის მხარეზე,—ესენი უფრო ახლოა. კერძოის ამბები უფრო დიდი და საყურადღებოა, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ, ბანდები დასავლეთის საზღვარზე (ამ ბანდების მოქმედების რუკას მე ვაჩვენებ საბჭოთა ყრილობაზე), და პოლონეთის ჯარების გადმოსხმა გაძლიერდა, გაიზარდა. ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ არის ერთის მხრივ ევროპის ბურჟუაზიის ფრთა (უფრო ახლობელი ჩვენთან, პოლონეთის და სხვ. ბურჟუაზიისა), რომელსაც ყოველი მიზეზის გარეშე სურს ჩვენთან ბრძოლა. მეორე მხრით, არის ზოგიერთი, ბურჟუაზიის წრიდან, და შეიძლება მისი ხელმძღვანელი ელემენტებიდანაც, რომელსაც ჩვენი აღიარებისა და ჩვენთან შეთანხმების საქმე წარმოდგენილი აქვს მეტად მარტივად: „აი, დაუძახებთ კრასინს ან ჩიჩერინს; 20 მილიონ დოლარს მიუმატებთ კიდევ ცოტას და მაშინ ვეტყვით კომუნისტურ ინტერნაციონალს: მოდით შინაგანი გაწმენდა მოვახდინოთ, მოგვეცით უზრუნველყოფილი პოლიტიკური გარანტიები, მოვსპოთ კომუნიზმის ეშმაკის ფეხის უკანასკნელი ნაშთი, და შემდეგ, მთელი საქმე ჯიბეში იქნება".

უეჭველია, ლოიდ-ჯორჯი და ბევრ სხვას საქმე ამ გვარად ელანდება. თუ ჩვენი ცნობის შესახებ მოლაპარაკება გაიმართა, უსათუოდ იქნება მრავალი ზიგზაგი და ძარღვების შეკვრა. ლოიდ-ჯორჯსაც, ბრიანსაც და მრავალ სხვას, დასჭირდება ზოგიერთი კარნახი ძირიდან: აქ არის პოლონეთი, აქ არის რუმინია და არის ფინლიანდიაც. მდგომარეობა მეტად სერიოზულია და ისტორიულ პერსპექტივაში მან უნდა მოგვცეს (როგორც საერთაშორისო, ისე რუსეთის მასშტაბში) აწევის გახრილი ხაზი, მაგრამ ეს იქნება გახრილი ხაზი არა სწორი აწევისა, არამედ გახრილი ხაზი მრავალი ზიგზაგით, და უახლოესი ზიგზაგი შეიძლება გაჩნდეს სწორედ უახლოეს გაზაფხულზე. რომ მოლაპარაკება დაიწყოს, რაც აკვირვებელია ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში უარს ვერ ვეტყვით. ამას მე ხაზს უსვამ როგორც კომუნისტური პარტიის წევრი და როგორც ადამიანი, რომელსაც აქვს უახლოესი დამოკიდებულება მოლაპარაკებიდან გამომდინარე საფრთხის ერთ ნაწილთან; მაგრამ ფაქტი ის არის, რომ რაც უფრო ახლო ვდგევართ ჩვენ აღიარებასთან და ბურჟუაზიული მსოფლიოს კრედიტებისაგან, მით უფრო ახლო ვდგევართ იმ მომენტთან, როდესაც ბურჟუაზია მოისურვებს, ჩვენი დათმობის ფარგლები მოლაპარაკების დროს, გააფართოვოს დამატებითი მეშტით და პირდაპირი სამხედრო მოქმედებით. და ამ თვალსაზრისით მეტად სიმპტომატიურია ის, რაც ახლა ხდება აღმოსავლეთში და ახლო დასავლეთში. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ, ვითვალისწინებთ რა სავსებით საერთაშორისო ვითარებას და ვიცავთ რა კომუნისტური ინტერნაციონალის რეზოლიუციას, აბსოლიუტურად სწორსა და მდგომარეობასთან შეთანხმებულს,—ამასთანავე ერთად, უნდა ვსთქვათ: რამდენადაც ევროპისა და მსოფლიო პროლეტარიატი დაეყრდნობა რა დაწყებულ ეკონომიურ აღორძინებას, შეუდგება მუშათა რევოლიუციონური მასების მთლიანი ფრონტის გასწორებას, ჩვენ უნდა გვახსოვდეს იგი და უნდა მოვაგონოთ მსოფლიო პროლეტარიატს, რომ ჩვენ უნდა გავასწოროთ ჩვენი ფრონტიც, ამ სიტყვის თავისი მნიშვნელობით. რომ ეს მოხდეს და გაზაფხულზე რევოლიუციონურმა მოძრაობამ მიიღოს მძლავრი ხასიათი, (წინასწარ გადაჭრით თქმა ძნელია, მაგრამ ეს შეუძლებელი არ არის),—მაშინ, სწორედ ეს რევოლიუციონური სიმწვავე, მისი პირველი ნაბიჯები იმ მომენტში, როდესაც ბურჟუაზია იწყებს ჩვენთან გადამწყვეტ მოლაპარაკებას, ამ პოლიტიკური მანევრის მომენტში —შესაძლოა ეს რევოლიუციური ნაბიჯები შეიქნეს ჯვარის დამალი ჩვენი ცნობის ყველა პლანისა და ამასთანავე გამოიწვიოს მტრების აშკარა ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ იმის საშვალებით ვინც სამხედრო აგენტია საფრანგეთისა და სხვა კაპიტალისა, ე. ი ჩვენი უახლოესი მეზობლების საშვალებით. ამიტომ უნდა იყოს დღეს წითელი არმია მხად ყოველფრით და სავსებით. (ტაში).

სიტყვა ეძლევა ამხ. ლოზოვსკის.

**ამხ. ლოზოვსკი.**

ამხანაგებო! ამხ. ტროცკი შეეხო ერთ უმნიშვნელოვანეს, მე ვიტყვი, ფრიად სადაო საკითხს. ტროცკიმ განაცხადა, რომ მსოფლიო მეურნეობაში იწყება გამოცოცხლება, რომ ამ ნიადაგზე იშლება მრავალი სხვა ახალი პროცესი და სწორედ ამის პასუხი არის ის ახალი ტაქტიკა, ან წინადადებანი, რომელსაც კომუნისტური ინტერნაციონალი იძლევა. აქ, ამ შეფასებაში არის მეტად სერიოზული გადამეტება. რომ ავიღოთ მსოფლიო მრეწველობა მთლიანად, შევნიშნავთ ფრიად საინტერესო, დამახასიათებელ მომენტებს, რომელთაც უნდა მივაქციოთ სათანადო ყურადღება და უნდა შევისწავლოთ,—ეს დაგვანახვებს, რომ საერთო გამოცოცხლება ჯერ-ჯერობით არ არის. არის, უსათუოდ, გაცხოველება დაბალი ვალიუტის ქვეყნებში და არის უდიდესი კრიზისი,—რომელიც დღითი-დღე იზრდება,—მაღალი ვალიუტის ქვეყნებში. ჩვენ შევადგინეთ პროფესიონალ ინტერნაციონალში ნუსხა ვალიუტისა უმუშევრობის ურთიერთ დამოკიდებულებისა და მივიღეთ შემდეგი საინტერესო პარალელი: იქ, სადაც დაბალი ვალიუტაა, უმუშევრობაც მცირეა, ხოლო სადაც ვალიუტა ზევით იწევს, იქ უმუშევართა რაოდენობა იზრდება.

რომ ვიანგარიშოთ უმუშევრობის აბსოლუტური და შედარებითი ციფრები ამერიკაში, ინგლისში, შვეციარიაში, შვეციაში და ნორვეგიაში, ე. ი., ისეთ ქვეყნებში, რომელნიც განსაზღვრავენ ეკონომიური ბრძოლის მთელ შინაარს მსოფლიო ბაზარზე, დავინახავთ, რომ აქ გამოცოცხლება არ არის. გამოცოცხლება არის სხვა ქვეყნებში, სადაც მუშათა იაფი ხელი ქმნის ღირებულებას ამერიკისა, ინგლისისა და შვეციის კაპიტალისათვის. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ შვეციაში ჩვენ მიერ შეკვეთილი საგნები კეთდება გერმანიის ქარხნებში, ხოლო შვედურ ენაზე აზის შტემპელი შვედური ფაბრიკისა. მაღალი ვალიუტისა და მაღალი ხელფასის ქვეყნები შეკვეთილის უდიდეს ნაწილს აძლევენ დაბალი სამუშაო ხელფასისა და დაბალი ვალიუტის ქვეყნებს, ამიტომ მაღალი ვალიუტის ქვეყნებში ჩნდება უმუშევრობა, ხოლო ამის ნიადაგზე ხდება მდგომარეობის გამწვავება, რომელსაც დღეს ვხედავთ მთელ მსოფლიოში. აი, პირველი ფაქტი, რასაც ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ეხლა მეორე: რა გავლენით და პირობებში სდგება დღეს მთლიანი ფრონტის საკითხი? დღეს სწარმოებს საერთო შეკავშირებული, დარაზმული შემოტევა კაპიტალისა; იმის მიხედვით, თუ როგორია ამ შემოტევის ფორმა, მეთოდი და საშუალება, ჩვენ გვაქვს სხვადასხვა შეფასება და გაგება მთლიანი ფრონტის იდეისა. მთლიანი ფრონტის საკითხი სულ სხვანაირად სდგას სახელმწიფოში, სადაც რევოლიუციონური ბრძოლა უკიდურესად ცხარეა, და რამდენადაც უფრო ახლოა ესა თუ ის ქვეყანა სოციალურ რევოლიუციასთან, იმდენად ეს საკითხი მწვავეა და თავსატეხი. მე ქვემოდ შევეხები მთლიანი ფრონტის საკითხს გერმანიაში. საფრანგეთში მაგ. ეს საკითხი ჯერაც არ არსებობს. აქ წამოყენებულია საკითხი შრომის საყოველთაო კონფედერაციის რასკოლისა",—პროფესიონალ კავშირთა ამ მთლიანი ორგანიზაციისა. ასე რომ, მთლიანი ფრონტი თავისთავად დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის სოციალური რევოლიუციისათვის მომზადების ხარისხისაგან და თვითეულ ქვეყანაში აქვს განსაკუთრებული ხასიათი. ამაში შეგვიძლიან დავრწმუნდეთ რუსეთის ისტორიული გამოცდილებით, რასაც ჩემი სიტყვის ბოლოში აღვნიშნავ; რაც უფრო უახლოვდებით გადამწყვეტ ბრძოლას, მით უფრო მწვავდება მუშათა მასაში აქ მთლიანი ფრონტის შექმნის იდეა.

საკითხი მთლიანი ფრონტისა, წარმოიშვა როგორც რეაქცია დარაზმული შემოტევის წინააღმდეგ, რომელიც ხელიდან აცლის მუშათა კლასს, ელემენტარულ მონაპოვარს: აუქმებს 8 საათის სამუშაო დღეს, ამცირებს სამუშაო ხელფასს.

კაპიტალიზმი ამცირებს რა სამუშაო ხელფასს მუშების ძვლებზე სურს აღადგინოს თავისი დიდება; ამასთანავე, ამერიკა, შვეცია, ნორვეგია, შვეიცარია და მაღალი ვალიუტის ყველა ქვეყანა, შეკვეთილ საგნებს უგზავნიან დაბალი ვალიუტის ქვეყნებს;—ამიტომ აქ არ არის უმუშევრობა. სამუშაო ხელფასის უდიდესი შემცირება სწარმოებს ყველგან და ამ შემცირების ნიადაგზე ცდილობენ აღადგინონ კაპიტალიზმი და დაიპყრონ ძველი ბაზრები ძველ ფარგლებში. ამ შეკავშირებული გამოსვლის წინაშე, სწარმოებს ფართო შინაგანი მოძრაობა მუშათა მასაში, მთლიანი ფრონტის შექმნისათვის მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მთლიანი ფრონტის გარშემო გამართულ ბრძოლაში, ხდება მრავალი გადახვევა იმ კომუნისტური პარტიების მხრივ, რომელთაც უნდა განახორციელონ ეს მთლიანი ფრონტი. ავიღოთ გერმანია და ვნახოთ თუ როგორ სწარმოებს იქ ბრძოლა. რა ნიადაგზეა ბრძოლა? სამი პარტიაა გერმანიაში: ძლიერი პარტია შეიდემანისა 1.200.000 წევრით, დამოუკიდებელთა პარტია 350,000 წევრით და კომუნისტური პარტია, რომელსაც ჰყავს 300 000 წევრი, — და მთლიანი ათ მილიონიანი პროფესიონალი მოძრაობა. ამგვარად, ბრძოლა მთლიანი ფრონტისათვის და მთლიანი ფრონტის გარშემო სწარმოებს ამ ძლიერი პროფეს. მოძრაობის შიგნით, რომელმაც თავისი ძალა [illegible]

შეკავშირება უნდა შეახვედროს შეტევაზე გადმოსულ გერმანიის ბურჟუაზიას. როგორ უყურებთ ჩვენ ამ საკითხს? ჩვენ ვხედავთ, რომ ხელმძღვანელი ორგანიზაციები მთლიანი ფრონტის შექმნის ყველა ცდაში, საერთო პროგრამის გამოუმუშავებაში, თუ ამ ცდას თანაგრძნობით უყურებს ხელმძღვანელი სფეროები, საერთო — გერმანული პროფესიონალი მოძრაობის ხელმძღვანელნი, როგორც კი საქმე მოქმედების აუცილებლობამდე მიაღწევს, უარყოფენ მთლიან ფრონტს. ჩვენ ვხედავთ კიდევ მეტს: როდესაც გერმანიაში მწვავედ დაისვა საკითხი გადასახადის პოლიტიკის შესახებ, და როდესაც გერმანიის პროფესიონალი კავშირების გაერთიანებულმა ორგანიზაციამ მოსამსახურეთა ორგანიზაციასთან ერთად წამოაყენა 10 მუხლი მოთხოვნილებათა, კომუნისტურმა პარტიამ განაცხადა, რომ იგი მხარს დაუჭერს ამ მოთხოვნილებას, მაგრამ ვერავითარ რეალურ ბრძოლას ამ მოთხოვნილებისათვის პროფესიონალ კავშირთა ხელმძღვანელობის მხრივ, ჩვენ ვერ ვხედავთ. ჩვენ ვიცით, რომ პროფესიონალი კავშირები წამოაყენებენ განსაზღვრულ პლატფორმას, მაგრამ სრულიად არ იბრძვიან მისი განხორციელებისათვის, არამედ მხოლოდ აშინებენ ბურჟუაზიას შემდეგი სიტყვით: „თუ არ მოგვეცი, რასაც გთხოვთ, ისინი—კომუნისტები—თოფს ისვრიან". ასე გაიძახოდნენ თავის დროზე რუსი ლიბერალებიც. გერმანიაში კომუნისტური პარტიის წრეებში მთლიანი ფრონტის განხორციელების ნიადაგზე იბადება აზრი, რომ არ არის დასაშვები დასახული პროგრამის გადალახვა, რომ საჭიროა ამ პროგრამის ფარგლებში დარჩენა. ამგვარად ჩვენ გვაქვს არა გამოყენება ამ მთლიანი ფრონტისა ბრძოლის გამწვავებისათვის, ფართო მასების მიზიდვისათვის და მათი ფეხზე დაყენებისათვის—რეფორმისტული ლოზუნგებისა და ლიდერების წინააღმდეგ, არამედ გვაქვს ერთგვარი შეგუება კომუნისტური ტაქტიკისა ამ მოთხოვნილებებთან. სიმძიმის ცენტრი ზოგიერთისათვის (და ეს დიდ საფრთხეს შეიცავს) მდგომარეობს იმაში, რომ მთავარ ყურადღებას აქცევს პროგრამას და გაერთიანებული ფრონტი არ არის გაგებული, როგორც გაერთიანება მოქმედებისა და მხოლოდ მოქმედებისა.

საფრთხე, რომელიც გათვალისწინებულია კომუნისტური ინტერნაციონალის თეზისების უკანასკნელ ნაწილში, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ეს აქ იყო აღნიშნული, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნებში არის სხვადასხვა ღონისა და გავლენის კომუნისტური პარტია. და მრავალ პარტიაში მთლიანი ფრონტის აზრი, ასე

# საუბარი პარტიულ ყრილობის დელეგატებთან

**დუშეთის მაზრა**

დუშეთის სამაზრო პარტიულ კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ძნელაძე დაწვრილებით აშუქებს პარტიულ მუშაობას მაზრაში და იქაურ საბჭოთა და სამეურნეო აღმშენებლობას.

**პარტიული მუშაობა.**

უკანასკნელ დრომდე პარტიული მუშაობა მაზრაში სუსტათ სწარმოებდა,—ერთის მხრით გამოცდილ მუშაკთა უყოლობის, ხოლო მეორე მხრით—პარტიის გაწმენდის გამო, რომლის დროს, ცხადია, პარტიულ კომიტეტების საორგანიზაციო მოქმედება შეჩერდა. მიუხედავათ იმისა, რომ დუშეთის გლეხკაცობა მეტად რევოლიუციონურადაა განწყობილი, ჩვენ მაინც საკმაოდ ვერ გამოვიყენეთ გლეხთა ფართე მასსების აქტიური თანაგრძნობა კომუნისტურ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლებისადმი. მაგრამ ამას წინად უკვე დამთავრებულმა სამაზრო პარტიულმა კონფერენციამ აირჩია ახალი პარტიული კომიტეტი, რომელშიაც შევიდნენ ენერგიული ამხანაგები, და მუშაობამ მაზრაში შესამჩნევად წინ წაიწია.

მაზრაში არსებობს 6 პარტიული რაიონი, რომლებშიაც საერთოთ ითვლება 80 უჯრედამდე („იაჩეიკა") სულ ორგანიზაციაში ირიცხება 600 წევრამდე, თითქმის განსაკუთრებით გლეხები. უნდა ვსთქვათ, რომ გლეხებში არსებობს ფართე მიმდინარეობა პარტიაში შემოსვლის სასარგებლოდ და გლეხებისაგან მრავალი თხოვნა მოგვდის პარტიაში მიღების შესახებ. მაგრამ ჯერ-ჯერობით ახალ წევრების მიღება პარტიაში შეწყვეტილია. საკითხის გადაწყვეტას გლეხები მოუთმენლად ელიან.

**მუშაობა ქალთა შორის**

მუშაობა ქალთა შორის მაზრაში, სამწუხაროთ თითქმის სრულიათ არ სწარმოებს: არ გვყავს მუშაკი ქალები საკმაოთ მომზადებულნი ამ საქმისთვის. თვით სამაზრო კომიტეტს არა ყავს ქალების განყოფილების გამგე.

**კომუნისტურ ახალგაზდობის კავშირი.**

კომუნ. ახალგაზდობის კავშირი მშვენიერათ მუშაობს. ორგანიზაციის მხრით იქნება უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე პარტიული ორგანიზაციები. კომ ახალგ. კავშირის მუშაობა მეტად გაძლიერდა პარტიის გაწმენდის შემდეგ. ჩვენს ორგანიზაციებს დამყარებული აქვთ მუდმივი კავშირი კომ. ახალგ. კავ. და ხშირათ ჩვენ ვმართავთ პასუხისმგებელ მუშაკების საერთო სხდომებს და საზოგადო კრებებს.

**განმანათლებელი მუშაობა.**

განმანათლებელი მუშაობა მეტათ ცუდათ სწარმოებდა. უკანასკნელ დრომდე მაზრაში პოლიტიკურ განათლების განყოფილებაც კი არ არსებობდა, ახლა სამაზრო კომიტეტმა მოაწყო ეს განყოფილება, გახსნა მშვენიერი ბიბლიოთეკა, მრავალი კრგათ შერჩეული წიგნებით, და ეხლა პროფკავშირებთან ერთათ იღებს ზომებს მუშათა კლუბის გასახსნელათ. მაზრაში არ არსებობს პარტიული სკოლა. მაგრამ ამჟამად სამაზრო კომიტეტი აპირებს მის გახსნას.

აუცილებლათ უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურას მეტათ სუსტათ ვიღებთ. გაზეთები ძლიერ უწესრიგოთ მოგვდის,—ორ კვირაში ერთხელ, მიუხედავათ იმისა, რომ დუშეთი ცენტრიდან დაშორებულია სულ 50 ვერსით. სამაზრო კომიტეტმა ამის თაოპაზე სპეციალური გამოძიება-კი მოახდინა და აღმოჩნდა, რომ ჩვენი გაზეთები იკარგება თურმე თითონ ბეჭდვითი ცენტრალურ განყოფილებაში.

**კოლექტიური მუშაობა.**

ჩვენმა ორგანიზაციამ არა ერთხელ გამართა შაბათობა და კვირაობა, მაგრამ დუშეთში კი არა,—რაიონებში, მეტადრე მუხრანისაში ამ კოლექტიურ მუშაობაში პარტიულ ამხანაგების გარდა მონაწილეობას იღებდნენ გლეხებიც მუშაობის დროს ასწორებდნენ გზებს, ხიდებს, ეზიდებოდნენ შეშას და სხვა. ასე, მაგალითათ, ტყეებიდან სადგურ მცხეთაში მოზიდეს 300 საჟენზე მეტი შეშა თბილისის მუშებისთვის. ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებდა მრავალი გლეხი მინიმალურ ხელფასით. ეს გლეხები თავის ხებით იყვნენ მოსულნი.

**საგიტაციო კამპანია.**

პარტიულ ამხანაგების და წასვლა-წამოსვლის საშუალებათა ნაკლებობის გამო, საგიტაციო კამპანიები მაზრაში სუსტათ ჩავატარეთ. ასე, მაგალითათ, ფედერაციის საკითხის შესახებ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ყველა რაიონებში გაგვეკეთებინა მოხსენებები ამ თემაზე—მომხსენებლები არ გვყავდა. მაგრამ იქ, სადაც მოვაწყეთ მოხსენებები, (თვით დუშეთში, ახალგორში, საგურამოს რაიონში) იქ ფედერაციის იდეას გლეხები აღტაცებით ეგებებოდნენ და ყველგან შესაფერი რეზოლიუციები გამოიტანეს.

**საბჭოთა აღმშენებლობა.**

რაც შეეხება საბჭოთა აღმშენებლობას, უნდა ვსთქვათ, რომ ამ მხრივ მაზრა კოჭლობს, თვით რევკომში ზოგიერთ განყოფილებებს გახაგებ- [illegible] ფელების მოქმედება მკაცრათ გააკრიტიკეს. აღნიშნეს, რომ გლეხ-კომუნისტებს სურდათ შექმნათ რამდენიმე კოლექტიური მეურნეობა ყოფილ მებატონეთა მამულებში და რომ ამ საქმის განხორციელებაც შესაძლებელი იყო, მაგრამ საადგილ-მამულო განყოფილება აჭიანურებდა გლეხების ინიციატივას.

ამჟამათ საადგილ მამულო განყოფილების სათავეში ჩაყენებულია ახალი, სრულათ საიმედო ამხანაგი

**სასკოლო საქმე.**

სასკოლო საქმის მხრივ ჩვენი მაზრა სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. უნდა შევნიშნოთ, რომ კულტურის მხრივ დუშეთის მაზრა უკან ჩამორჩენილათ ითვლება საქართველოში. მთელს მაზრაში არსებობს მხოლოთ ერთი ოთხკლასიანი სასწავლებელი. მასწავლებლები უზრუნველყოფილი არ არიან, მეცადინეობა არა ნორმალურათ სწარმოებს.

**აგრარული რეფორმა.**

აგრარული რეფორმა ჯერ არ დამთავრებულა. მიწა მთლათ ჩამოერთვა მებატონეებს და მსხვილ ბობოლა-გლეხებს, მაგრამ ჯერ იგი რიგზე არ გაუნაწილებიათ გლეხებს შორის. სამწუხაროთ, ვიმეორებ, ჯერ მოწყობილი არაა არც ერთი მაჩვენებელი კომუნალური მეურნეობა.

**თესვის კამპანიები.**

თესვის კამპანიებს ძლიერ ენერგიულათ ვაწარმოებდით. ამ საქმეში თითონ გლეხობაც იღებდა აქტიურ მონაწილეობას. თუმცა სათესლე მარაგის დიდი ნაკლებულება იყო, მაინც დაუთესავი საერთოთ შედარებით მცირე სივრცე დარჩა, ხოლო იქაც გაზაფხულზე სიმინდი დაითესება.

**სასურსათო გადასახადი.**

სასურსათო გადასახადის მოგროვება ჯერ არ დაგვიწყია. საქმე იმაშია, რომ გადასახადის გაწერების სიები და გადასახადის ზომის ცხრილი დუშეთის მაზრაში სწორეთ ვერ შეადგინეს. ბ ხელახლათ დაგვჭირდა მთელი ამ საქმის გაკეთება. მაგრამ ამ გადასახადს მაინც საჩქაროთ შევკრებთ. გლეხები თანაგრძნობით ეკიდებიან მას.

**მუშათა კოოპერაცია**

მუშათა კოოპერატივები მაზრაში არ არსებობს; სამაზრო პროფბიუროც მხოლოთ ამას წინათ მოაწყეს. საზოგადოთ პროფესიონალური მოძრაობა სუსტათაა დაყენებული, არა გვყავს მომზადებული მუშაკები, არ არსებობს საშუალო მუშების ცოტათ თუ ბევრათ შესამჩნევი კადრი. ამ დღეებში მოწვეულ იქნება სამაზრო პროფესიონალური კონფერენცია ახალი პროფბიუროს ასარჩევათ და აგრეთვე სრულიათ საქართველოს პროფკავშირების ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების ამოსარჩევათ.

**ბანდიტიზმი.**

[illegible] ლიტიკური ბიურო და მილიცია ენერგიულათ იბრძვიან ყაჩაღობის წინააღმდეგ, ამას წინათ, მაგალითათ გაცარცვეს თბილისიდან დუშეთში მიმავალი გლეხები და ყველა მცარცველები აღმოაჩინეს და დაატუსაღეს.

**დეზერტირობა.**

დეზერტირობა პირველ ხანად ძლიერ იყო განვითარებული, მაგრამ დეზერტირთა პატიების შესახებ ცნობილ ბძანების გამოცემის შემდეგ მათი მომეტებული ნაწილი დაბრუნდა და ეხლა დეზერტირობას თითქმის აღარ აქვს ადგილი.

ამას წინათ გამოცხადებული მობილიზაცია სრულის წარმატებით მიმდინარეობს.

**პროვოკაციული მუშაობა.**

ჩვენი მტრები პროვოკაციულ მუშაობას აწარმოებენ გლეხობაში; ისინი ცდილობენ გამოიყენონ გლეხების წვრილ ბურჟუაზიული ფსიხოლოგია. მაგრამ ჩვენი მტრების გაიძვერაობას უფრო და უფრო ეცლება ნიადაგი. დუშეთის მაზრის გლეხობა რევოლიუციონურათაა განწყობილი, კარგად ერკვევა ეხლანდელ გარემოებაში და ჩვენ გვემხრობა.

**ქალ. დუშეთი.**

კომუნალური მეურნეობა დაყენებულია, რასაკვირველია, სუსტად, მაგრამ მუშაობა მაინც თანდათან რიგზე ეწყობა. ამას წინად თბილისიდან მივიღეთ ელექტრონის სადგური, და ეხლა ქალაქს სინათლე აქვს. კომუნალურ მეურნეობას აქვს სახელოსნოები—ფეხსაცმელისა, სათამაშოებისა და საპარიკმახერო.

ამას წინად გადასწყვიტეს კომუნ. მეურნეობის შეერთება სამაზრო რევკომის ეკონომიურ განყოფილებასთან. მაგრამ ჯერ ამის დასტური არ მოსვლიათ ცენტრიდან.

დიდი ნაკლებოვანებაა საბჭოთა მუშაკების. როცა ჩვენ მივიღეთ შემოკლებულ შტატის ცხრილი, აღმოჩნდა, რომ ჩვენ არა თუ უნდა შეგვემოკლებინა, პირიქით უფლება გვაქვს მოუმატოთ არსებულ შტატებს.

**საბჭოს არჩევნები.**

ყველა მოსამზადებელი მუშაობა საბჭოთა არჩევნებისათვის დამთავრებულია. დაარსებულია სამაზრო და სათემო საარჩევნო კომისიები, შედგენილია ამომრჩეველთა სიები. არჩევნებს შეუდგებით პარტიულ ყრილობიდან დელეგატების დაბრუნების შემდეგ.

15 თებერვლისთვის ვფიქრობთ მოვიწვიოთ საბჭოთა სამაზრო ყრილობა.

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ კომუნისტური პარტია სავსებით გაიმარჯვებს არჩევნებში. ჩვენი მოპირდაპირენი სუსტები არიან, მათ მხოლოდ დუშეთის სპეკულიანტები ემხრობიან. გლეხობაში კი მათ არავითარი ნიადაგი არა აქვთ.

---

ვსთქვათ, მოადუნეს, დააჩლუნგებს მის პოლიტიკურ გამოსვლებს მოპირდაპირე ჯგუფების წინააღმდეგ მუშათა კლასში. ეს არის პირველი საფრთხე, რომელსაც უნდა მიექცეს [illegible]

ამხანაგები ფიქრობდნენ, რომ უმჯობესია განილონ მდგომარეობა და არ გაამწვავონ საკითხი, თითქოს ამითი შეიძლებოდა მთლიანი ფრონტის განმტკიცება.

შემდეგ, მე მინდა მივაქციო ყუ- [illegible]

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დადგენილება,**

**საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატისა საპროცენტო ფულის შეტანის შესახებ.**

დროებით ან სამუდამოთ შრომის უნარ დაკარგულ მუშებისა და მოსამსახურებისათვის დროზე და წესიერად სოციალურ დახმარების აღმოსაჩენად, შრომის სახალხო კომისარიატი, საქართველოს ს. ს. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ მე 12 ნომრით გამოცემულ დეკრეტის მე 2 მუხლის ძალით, ადგენს:

1 ყველა კერძო ფაბრიკა-ქარხანა, საიჯარო საკოოპერაციო, სახელოსნო და სავაჭრო წარმოება და დაწესებულება, აგრეთვე ის წარმოება, რომელიც სამეურნეო ნიადაგზე, მოეწყო (ტრესტად გადაკეთდა და სხვა), მოვალეა შეიტანოს შრომის სახალხო კომისარიატში მთელი იმ თანხის 10 პროც.-ი, რომელსაც იგი მუშებსა და მოსამსახურეებს სამუშაო ქირის სახით აძლევს.

**შენიშვნა:** სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოების შესახებ ამ საკითხის გამო ცალკე ინსტრუქცია იქნება გამოცემული.

2 დაზღვევის საქმისთვის საპროცენტო ფულის გადიდების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქმნას მთელი ის თანხა, რაც მუშას და მოსამსახურეს შრომის ფასად ეძლევა, როგორც ხელფასი და ჯამაგირი ისე ნარდ ზედმეტ და პრემიალურ სამუშაოს სხვა სახის გასამრჯელო.

**შენიშვნა:** არ შეიძლება დაზღვევისათვის შეტანილი ფული მუშებსა და მოსამსახურეებს გამოერიცხოთ.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული საპროცენტო ფული მუშებისა და მოსამსახურეების დაზღვევისათვის, შეტანილ უნდა იქმნას:

ა) ტფილისში—შრომის სახალხო კომისარიატში.

ბ) რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და ადგილებში—შესაფერ ხაზინებში, შრომის სახალხო კომისარიატის დეპოზიტის ანგარიშზე.

4. საპროცენტო ფულის შეტანა შემდეგი წესით ხდება.

ა) ყოველი თვის 1-ლსა და 15-ს წარმოებისა და დაწესებულების ადმინისტრაცია მოვალეა წარუდგინოს: თბილისში—შრომის სახალხო კომისარიატს, ხოლო ადგილობრივ—შრომის განყოფილებას უწყება, რომელიც უნდა შეიცავდეს მუშა-მოსამსახურეების მთელ სიას და სამუშაო ქირისა და საპროცენტო ფულის რაოდენობას, უწყებასთან ერთად შეტანილ უნდა იქნას თვით საპროცენტო ფულიც.

ა) ამ დადგენილების თანახმად. საპროცენტო ფულის გადახდა დაწესებულებებმა და წარმოებებმა უნდა დაიწყონ ამა 1922 წლის 1 იანვრიდან იმ განაკვეთების მიხედვით, რომელიც დაწესებულ იქმნას საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის მე-76 ნომრის გამოცემულ დეკრეტით,

5 ვინც შრომის სახალხო კომისარიატსა და შრომის განყოფილებებში საპროცენტო ფულის შეტანის ვადას გადააცილებს, იხდის ჯარიმას.თუ სამ დღეს გადააცილა—შეიტანს ფულის 10 პროც.-ს, თუ მეტ ხანს—20 პროცენტს.

6. დაწესებულებებისა და წარმოებების მიერ არ შეტანილი საპროცენტო ფული, თანახმად შრომის სახალხო კომისარიატის 1921 წლის 14 აპრილის მე-8 ნომრით გამოცემულ ცირკულიარის შეტანილ უნდა იქმნეს შემდეგი წესით: საპროცენტო ფული ის თანხისა, რაც მუშებსა და მოსამსახურეებს ქირის სახით მიეცა 1921 წლის 15 აპრილიდან ა. წ. 1922 1-ლ იანვრამდე, შეტანილ უნდა იქმნას არა უგვიანეს ამა წლის 1-ლ თებერვლისა, საპროცენტო ფული ამ შემთხვევაში გამოანგარიშებულ უნდა იქმნას იმ საშუალო ქირის მიხედვით, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს ხსენებულ დროს მიეცათ.

7. ვინც ამ დადგენილების მე 6 მუხლს დაარღვევს, გადახდება ჯარიმა 50.000.000 მანეთამდე ან დაპატიმრებულ იქმნება სამ თვემდე.

8. საპროცენტო ფულის დროზე შეტანის საქმის [illegible] ამ საქმისათვის [illegible] თრებულ აგენტებს, აგრეთვე შრომის დაცვის ინსპექტორებს.

9. ეს დადგენილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ა. მიქაძე.

საქმეთა მმართველი მ. ზერძნიშვილი.

შრომის სახალხო კომისარიატის დაზღვევის განყოფილების გამგე [illegible]იაშვილი.

---

**სარედაქციო კოლეგია.**


**მიიღება ხელის მოწერა 1922 წ.**

გაზ. „კომუნისტზე"

ხელის მოწერის პირობები:

**1 თვით თბილისში და პროვინციაში 100.000 მან.**

**ცალკე ნომერი თბილისში 5.000 მან.**

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის, ქოხი-სამკითხველოებისა და წითელ-არმიელთა კლუბებისათვის ერთი თვით 50.000 მან.

დროებით ხელის მოწერა და განცხადებების მიღება სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის, № 5), დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

**მიიღება ხელის მოწერა**

**1922 წლისათვის, გაზეთ**

„მიწის მუშა"-ზე

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ: ოთხშაბათს ხუთშაბათობით. თვეში ღირს 40,000 მანეთი, ფულის გადახდა წინდაწინ არის საჭირო.

პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებებს გაზეთი დაეთმობათ 30,000 მანეთათ თვეში.

გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით: თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 19, „მიწის მუშა". 5—5


## ხელის მომწერთა საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს გაზეთების—„კომუნისტი"-ს „პრავდა გრუზიი"-ს, „კარმირ ასტღ"-ის, „მიწის მუშა"-ის და სხვების (როგორც სახელმწიფო დაწესებულებათა, პარტიულ და მუშათა ორგანიზაციებისა და კერძო პირთა. საყურადღებოდ, რომ ამიერიდგან გაზეთები გაეგზავნება ხელის მომწერთ მხოლოდ ხელის მოწერის საფასურის შემოტანის შემდეგ.

დაწესებულებები და კერძო პირები,—რომლებსაც არ შემოუტანიათ ხსენებული საფასური იანვრის თვისათვის,—მოკლებული იქნებიან ლონისძიებას მიიღონ გაზეთები პირველი თებერვლიდგან.

შემდეგი თვეებისათვის ხელის-მოწერა მიიღება წინასწარ სახელმწიფო გამომცემლობაში („გოსიზდატ"-ში) ლორის მელიქოვის ქუჩა № 5.

## გაზეთი „მიწის მუშის"

**რედაქცია** დაბეჯითებით სთხოვს ქვემოხსენებულ ორგანიზაციების პარტიულ ყრილობაზე ჩამოსულ დელეგატებს, შემოიარონ დღეს ან ხვალ რედაქციაში, 1 **თბილისის მაზრიდან** თბილისის სამაზრო პარტკომის წარმომადგენელთ **რაიონებიდან:** მარტყოფის, სართიჭალის, საგარეჯოს, ყარაიაზის, ასურეთის, მანგლისის, ღბულაღის და კოჯორის, 2) **სიღნაღის მაზრიდან** სიღნაღის სამაზრო პარტკომის წარმომადგენელთ, **რაიონებიდან** ქოდალოს, გურჯაანის, კარდანახის, შირაქის, და მაჩხაანის, 3 **თელავის მაზრიდან** თელავის სამაზრო პარტკომის წარმომადგენელთ, **რაიონებიდან** ყვარლის, წინანდალის, ფშაველის, ენისელის, და ძველი გავაზის, 4) **თიანეთის მაზრიდან** თიანეთის სამაზრო პარტკომის წარმომადგენელთ, 5) **დუშეთის მაზრიდან** დუშეთის სამაზრო პარტკომის წარმომადგენელთ. 6 **სამხრეთ ოსეთის ოლქიდან** პარტკომის წარმომადგენელს. 7 **გორის მაზრიდან** გორის სამაზრო პარტკომის წარმომადგენელს. **რაიონებიდან** მეჯვრისხევის ქვემო ჭალის, ტყვიავის, ცხინვალის, გომის, ბორჯომის, ხაშურის, სურამის ხიდისთავის, ახალქალაქის, კავთისხევის, და ქვემო ნიჩბისის. 8) **ახალქალაქის მაზრიდან** ახალქალაქის სამაზრო პარტკომის წარმომადგენელს. **რაიონებიდან** ბარალეთის, ბოგდანოვკის, სათხის, და გუნდრის. 9 **ბორჩალოს მაზრიდან** ბორჩალოს სამაზრო პარტკომის წარმომადგენელს. **რაიონებიდან** ეკატერინენფელდის, ვორონცოვკის, ბაშკიჩეთის, სარვანის და შულავერის. 10 **ახალციხის მაზრიდან** ახალციხის სამაზრო პარტკომის წარმომადგენელს 11) **ქუთაისის მაზრიდან** ქუთაისის სამაზრო პარტკომის წარმომადგენელს **რაიონებიდან** ფარცხანაყანევის, ტყიბულის, სვირის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ხონის. 12 **შორაპნის მაზრიდან** შორაპნის სამაზრო პარტკომის წარმომადგენელს. **რაიონებიდან** ჩხარის, საჩხერის, ზესტაფონის, ხარაგოულის და ჭიათურის. 13) **რაჭის მაზრიდან** რაჭის სამაზრო პარტკომის წარმომადგენელს. **რაიონებიდან** უწერის, ონის, ამბროლაურის, და ქრებალოს 14) **ლეჩხუმის მაზრიდან** ლეჩხუმის სამაზრო პარტკომის წარმომადგენელს 15) **ზემო სვანეთის მაზრიდან** სამაზრო პარტკომის წარმომადგენელს. 16 **ზუგდიდის მაზრიდან** სამაზრო პარტკომის წარმომადგენელს. 17) **ახალსენაკის მაზრიდან** სამაზრო პარტკომის წარმომადგენელს. 18) **ოზურგეთის მაზრიდან** სამაზრო პარტკომის წარმომადგენელს. **რაიონებიდან** ლანჩხუთის. 19) **ბათომის მხარიდან** ბათომის პარტკომის წარმომადგენელს. **რაიონებიდან** კინტრიშის, ქვედა აჭარის.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის (გოლოვინსკი) პროსპექტი № 24 მესამე სართული, მარჯვნივ მუშათა და გლეხთა სახალხო კომისრის მოადგილის კაბინეთი, ოთახი № 6.

## ინტერნაციონალური საღამო, პროლეტარულ შემოქმედებისა

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია ორშაბათს, 30 იანვარს შოთა რუსთაველის თეატრში მუშებისა, წითელ არმიელებისა და ახალგაზრდათა კომკავშირის წევრთათვის მართავს ინტერნაციონალურ საღამოს. მონაწილეობენ ასოციაციის არტისტული და ლიტერატურული ძალები. ბოლოს დადგმული იქნება „ჯანყება" ვერჰარნის—აპოთეოზით.

შესვლა პროფკავშირების წიგნაკებით უფასო იქნება.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**სხვა და სხვა**

დავკარგე მოწმობა სტუდენტობისა, მოცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან; ჩაითვალოს გაუქმებულად.

სტუდენტი სპირიდონ ძიძავა.